წელიწადი მესამე — ფასი 7 კაპ. — შაბათი, 4 თებერვალი, 1917 წ.

# საქართველო

Тифлисъ, редакція «Сакартвело», поч. ящикъ № 76

დამატებითი № ღირს ყველგან 10 კაპ.

№ 27 — ყოველდღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი — № 27



გ ა ზ ე თ ი
„საქართველო“
ყოველდღიური ხელმოწერის ღირს:
მთელი წლით—15 მ., 1/2 წლით—8 მ., 3 თვით—5 მ., 1 თვით—1 მ. 80 კ.
წლიურ ხელის მომწერის ფასი შეიძლება ნაწილ-ნაწილად იქნეს გადახდილი შემდეგის წესით: ხელის მოწერის დროს—7 მ.; 1 მარტისთვის 4 მ. და 1 ივნისისათვის 3 მ.
რედაქციის მისამართი: თბილისი, მიხეილის ქუჩა № 4, ამავე ფოსტის ყუთი № 76 (почт. ящикъ № 76).
კანტორა ღია: დილით 9—3 საათამდე, სალამოს 5—7 საათამდე.
1 თებერვლიდან წლის ბოლომდის „საქარ.“ ღირება 13 მ.—76 კ. ვისაც სურს ხელისმოწერის ფასის განაწილებით ისარგებლოს, ხელის მოწერისათანავე 5 მ. 75 კ. უნდა წარმოადგინოს, დანარჩენი კი 1 მარტს და 1 ივნისს, უკვე გამოცხადებულის საერთო წესის სიხედვით.
რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი.
გამომცემელი: ამხანაგობა „საქართველო“.



კვირას, 5 თებერვალს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილი იქმნება ნახევარ წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის

ეკატერინე ივანეს ასულის
## სარაჯიშვილის

სულის მოსახსენებლად.
რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის ძმები ვ ხილ და ადამ ივანეს ძენი ფორაქაშვილები. დასაწყისი წირვისა 10 ს., პანაშვიდისა—12 ს.
(1—509—1)

ანნა აქვსენტის ასული და ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძენი შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, თებერვლის 5,

პავლე იოსების ძის
## კურცხალიას

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი თბილისის კარისად ყოფილის წმ. გიორგის ეკლესიაში (არქიელის მოედანზე) და სოფ. ბაზში.
წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.
(2 511—1)

## სახალხო სახლი
შაბათს, 4 თებერვალს 1917 წ.
სახალხო სახლთ ნ არჩ. ქართულ წარმოდგენების მმართველი წრე
## ნიკო გოცირიძის
სახალხო სცენაზედ 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად გამართულ იქნება სადღესასწაულო სალამო, წარმოდგენილი იქნება:

I **ტარტიუფი** მოლიერისა, მე-3 და მე-4 მოქ.
II **მსხვერპლი** ი. გედევანიშვილისა, 1-ლი მოქ.
III **მილოცვები**
IV **ხანუმა** ა. ცაგარლისა, მე-2 მოქ.

დასაწყისი სალამოს სწორეთ 8 საათზე.
ადგილების ფასი 15 კ-დან 2 მანეთამდე.
რეჟ კ. შათირიშვილი. — ქართ. სახ. წარმ. წრის ადმინისტრაცია.
(2—508—2)

## დილის წარმოდგენა
(ახალ კლუბის შენობაში)
კვირას, 5 თებერვალს, 1917 წ.
ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება
## სამშობლო
დრ. 5 მოქმედებად დ. ერისთავისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ ნნი აბაშ ძე, დავითაშვილი, ქილარჯიშვილი, შოთაძე, ბ-ნნი ბარველი, იმხნელი, გამყრელიძე, გვარაძე, ზარდალიშვილი, ფრონისპირელი, თარალაშვილი, ჩაგუნავა.
ადგილების ფასი 2 მ.—50 კ.-დე. — დასაწყისი დილის 12 საათზე.
ადმინისტრაცია ქართ. დრამატ. საზოგადოებისა.
(3—556—2)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი
(მიხეილის პროსპექტი, № 163, საზამთრო შენობა)
შაბათს, 4 თებერვალს,
## რუსული წარმოდგენა
წარმოდგენაზე შესვლა უფასოა.
სტუმრები საზოგადო წესით. — დასაწყისი სალამოს 8 1/2 საათზე.
(1—558—1)


## საქართველოს რედაქცია
ავტორებს უმორჩილესად სთხოვს. წერილები მხოლოთ ცალ გვერდზე სწერონ ხოლმე.


საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზი (გრიბოედოვის ქ. № 8)
სამშაბათს, 7 თებერვალს. ორი მოხსენება,

I
**გერონტი ქიქოძე:**
„ნიკოლოზ ბარათაშვილი“

II
**ი. გრიშაშვილი:**
„საიათნოვა, როგორც მეფე ერეკლეს კარის მგოსანი“

დასაწყისი სალამოს სწორედ 8 საათსა და 15 წუთზე. ადგილების ფასი 2 მ. 50 კ.-დან 50 კ-მდე. ბილეთები ამთავითვე ისყიდება საჩაიე „ძმურ-ნუგეშში“
(7—554—4)

შაბათს, 11 თებერვალს 1917 წ.
## ზუბალაშვილის სახალხო სახლში
მოხეტიალე მუსიკოსი
## ილიკო ქურხული
გ ა მ ა რ თ ა ვ ს
## ლ ე ქ ც ი ა - დ ი ლ ა ს.
პირველ და მეორე განყოფილებაში წაიკითხავს თავის „მოხეტიალე მუსიკოსის ნაწერებიდან“, რომელიც სხვა და სხვა დროს დაბეჭდილი იყო „რუსკია ვედომოსტი“-ებში და სხვა გამოცემებში, შემდეგის შინაარსით:
რამ მაიძულა სკრიპკით ეზო-ეზო მევლო. ჩემი პირველი ნაბიჯი. გაცნობა და პირველი გაკვეთილები ქუჩის მეარღნე ახმედასაგან მუსიკის მოქმედება მოსკოველ მილიონერებზედ. „დევნა“ მუსიკის გ მო. მხატვრულ მუსიკის გავლენა ხ ლხზედ. განსაკუთრებული თვისებანი ჩემის აუდიტორიისა. მსმენელთა წერილები. სამეცნიერო კითხვები.
მესამე განყოფილებაში სკრიპკაზედ შეასრულებს სხვა და სხვა მსოფლ ო მუსიკოსთა ნაწარმოებს თავის „საეზოო“ რეპერტუარიდან.
ფისგარმონიაზედ აჰყვება ბ. ზ. ფალიაშვილი.
ადგილების ფასი 1 მ. 50 კ.-დან 5 კ.-მდე — დასაწყისი დილის 12 საათზე.
ბილეთები ამთავითვე იყიდება სიმონას კიოსკში, ქელლერის მუსიკალურ სავაჭროში—გოლოვანისკზედ, ქართულ საჩაიე „ძმურ-ნუგეშში“ და თეატრის კასაში.

## პარიზელი ქალი
ეძებს ფრანგულისა და ინგლისურ ენის გაკვეთილებს; ამზადებს მოწაფეებს საშუალო სასწავლებლების ყველა კლასებისათვის. ფასი ხელმისაწვდომია.
მისამართი: მიხეილის პროსპექტი, 84. ბინა როსიონისა. (6—1)

ე ქ ი მ ი
## ფონ-ირტელი
(მიხეილოვის პროსპ. 128, კრილოვის ქუჩის კუთხე, 1, შესავალი კრილოვის ქუჩიდან, სახლი ოჰანეზოვისა).
მოსკოვის სახაზინო საავადმყოფოს ყოფილი ორდინატორი, სპეციალისტი დოსტაქრობისა, საშარდე მილისა, სქესობრივი ორგანოებისა, სიფილისისა და მის შედეგებისა (საშარდე მილის დავიწროება), სქესობრივი უძლურებისა, სიმსივნისა, ჭრილობისა, ბუასილისა, თეთრანასი, საშარდე ბუშტის სნეულებისა და საშვილოსნოსი. ორივე სქესის ავადმყოფების მიღება ხდება დილის 9 1/2-დან 1 საათამდე და ნაშუადღევს 5—9 საათამდე.
ერლიხის „914“ და „606“ შეშხაპუნება

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებებით ავადმყოფებს მიიღებს ოლღას ქ. № 3.

ე ქ ი მ ი
## მ. გ. ვეფხვაძე
ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19

ე ქ ი მ ი
## ივანე თიკანაძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სალამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: კიროჩნის ქუჩა, 18.
ტელეფონი № 11—82.

ე ქ ი მ ი
## მ. ი. ვაჩნაძე
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს მუდამ დღე, კვირა-დღის გარდა სალამოს 5—7 საათამდე, ბელინსკის ქ. № 4. (თ.—202—)

გოლოვინის პრ. და ხამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ასულდიანისა

ე ქ ი მ ი
## ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ სალამოს 5-6 ს. მდე, კვირა დღის გარდა
მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.



## საყმაწვილო მოთხრობები
## ეკ. გაბაშვილისა
გამოვიდა და ისყიდება
წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიაში.
(5—553—3)


## მესხეთისათვის

ლია ბარათში, რომელიც კავკასიელ თურქებისადმი არის მიმართული, ბ. ჰაიდარბეგ აბაშიძემ მარტივად და ენერგიულად გამოსთქვა ის, რასაც ყოველი შეგნებული ქართველი გრძნობს ბოლო დროს. უკეთესად არ შეიძლება ჩვენის საერთო ეროვნულ თვალსაზრისის გამოხატვა. ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ თვით ღია ბარათის ავტორი ქართველი მაჰმადიანია.

ქართულ-თურქულ პრესის კამათში ყველაზე მეტად თვით მაჰმადიანი ქართველობაა დაინტერესებული. ეს ხალხი უტყვი მასსა როდია. მას თვითცნობიერი წარმომადგენლები ჰყავს. ამ წარმომადგენლების ხმა უფრო მძიმედ უნდა იწონიდეს, ვიდრე ბაქოელ ან თბილისელ ჟურნალისტის შეხედულება. რელიგია სინიდისის საქმეა. ეროვნება სინიდისის საქმე არ არის, მაგრამ რამდენადმე მაინც ნებისყოფაზე არის დამოკიდებული. ამიტომ დიდათ საყურადღებოა, რას ამბობს მაჰმადიან ქართველის სინიდისი და საით არის მიმართული მისი ნებისყოფა?

ბ. ჰაიდარ-ბეგ აბაშიძე ამტკიცებს, რომ ქართველს ხალხსა და ქართულ პრესას თავგანწირვით დაუცავს აჭარლებისა და ლაზების სარწმუნოება. მეორე მხრით, მას გულსაკლავად მიაჩნია თურქულ პრესის მიერ გამოთქმული იჭვი, რომ ქართულ სკოლას აჭარის გაქრისტიანება შეუძლიაო. და, მართლაც, რელიგიურ სინიდის არაფერი არ ბღალავს ისე, როგორც ასეთი უსაფუძვლო იჭვი. მაჰმადის სარწმუნოება ხომ პირველყოფილი ფეტიშიზმი არ არის, რომ ეროვნულ სწავლა-განათლებას მისი შერყევა ან განადგურება შეეძლოს? თვით ბ. ჰაიდარბეგ აბაშიძე სწორს პასუხს იძლევა ამ კითხვისთვის. დედამიწის ზურგზე მაჰმადიანთა რიცხვი ას მილიონობით ითვლება. ჯერ აღნიშნული არ არის, რომ ეროვნულ სკოლას მათს შორის სადმე სარწმუნოებრივი გულგრილობა ან, მით უმეტეს, სარწმუნოებრივი ღალატი გამოეწვიოს.

უეჭველია, რელიგიურის თვალსაზრისით არაფერი ითქმის ეროვნულ სკოლის წინააღმდეგ. ქართული წერა-კითხვის გავრცელება აჭარასა, ლაზისტანსა ან ტაო კლარჯეთში ისევე ნაკლებ საშიშია მაჰმადიანობისათვის, როგორც სპარსულ წერა-კითხვის გავრცელება სპარსეთსა ან კიდევ არაბულისა არაბეთსა და ჩრდილო აფრიკაში. მაგრამ შეიძლება ქართული სკოლა სხვაფრივ იყოს მავნე ან გამოუსადეგი. ამ რამდენსამე დღის წინად ერთმა ინტელიგენტმა მაჰმადიანმა ის აზრი გამოსთქვა, რომ მაჰმადიანური სკოლა მაღალ კულტურის შესათვისებლად არის საჭიროვო. მაჰმადიანებს ისეთი დიდი მწერლები ჰყავდათ, როგორც მაგალითად, საადი, ნიზამი და ომარ ხაიამა, მათი შესწავლა კი შეუძლებელია ქართულს სასწავლებელშიო.

უწინარეს ყოვლისა, საყურადღებოა ის გარემოება, რომ დიდი მაჰმადიანი მეცნიერები და მგოსნები უმეტეს ნაწილად არაბულად ან სპარსულად. აჭარაში კი, როგორც ვიცით, თურქული სასწავლებლების გახსნას აპირებენ. თურქული მეცნიერული და სიტყვაკაზმული ლიტერატურა კი ქართულზე უფრო მდიდარი არ უნდა იყოს. ქართველი ახალგაზრდობა კულტურულად ვერაფერს მოიგებს, თუ დედა ენას თურქულს ენაში გასცვლის, დაკარგვით კი ბევრს დაჰკარგავს. მეორე მხრივ, ქართველობას არაფერი ექნება საწინააღმდეგო, თუ აჭარელი ან ლაზისტანელი ახალგაზრდობა სტამბოლსა ან ქაიროში წავა უმაღლეს განათლების მისაღებად. დღევანდელი ქართველები რუსულ და ევროპიულ უნივერსიტეტში პუშკინისა, გოეტესა ან ვიქტორ ჰიუგოს ენას სწავლობენ, რატომ არ შეიძლება, რომ მათ მაჰმადიანურ უნივერსიტეტში ავიცენასი და ფირდუზის ენა ისწავლონ? ასეთი სულიერი მრავალფეროვნობა დიდათ ხელსაყრელიც არის ქართველ ერისთვის. ქართული პირველ დაწყებითი სკოლა ან საშუალო სასწავლებელი არა თუ ხელს შეუშლის, პირიქით საუკეთესო ნიადაგს მოამზადებს უმაღლესი საკაცობრიო კულტურის შესათვისებლად. ცხადია, რომ კულტურული თვალთსაზრისითაც არაფერი ითქმის ქართულ სკოლის წინააღმდეგ.

არის კიდევ ერთი მხარე საკითხისა, რომელიც აშკარად იშვიათად გამოითქმის, თუმცა შეუგნებლად ყოველთვის იგულისხმება კამათის დროს. საქართველოს პოლიტიკური დაცემა იმ დროიდან დაიწყო, როცა მას სამცხე-საათაბაგო, აჭარა და ტაო-კლარჯეთი ჩამოშორდა. დღეს ამ კუთხეს კიდევ უფრო დიდი ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ოთხი-ხუთი საუკუნის წინად ჰქონდა. პოლიტიკურ თვითმართველობას საქართველოსთვის ფასი არ ექნება, თუ მის ფარგალში ძველი მესხეთი არ მოექცა. ძველი მესხეთი ჩვენის ეროვნული სხეულის განუყოფელი ნაწილია. ამას გარდა, ის უფართოესი ხიდია, რომელიც წინა აზიასთან გვაერთებს და უძლიერესი ციხე-სიმაგრე, რომელიც მტრის შემოსევისაგან გვიფარავს.

ჩვენი სამშობლოს გაძლიერება ჩვენზე არა ნაკლებ თვით მაჰმადიანებისთვის არის ხელსაყრელი. სპარსეთისა და ოსმალეთის პოლიტიკური წინდაუხედაობით და ლეკების სიველურით აიხსნება ის გარემოება, რომ მათ საქართველო შეასუსტეს, დააქუცმაცეს და, ბოლოს, კავკასიონის ქედისკენ აბრუნებინეს პირი. მეცხრამეტე საუკუნეში ოსმალებმაც, სპარსელებმაც და მთიულებმაც საკმაოდ იგემეს თავისი წინდაუხედაობის მწარე ნაყოფი. ყოველ შემთხვევაში, დღეს, ჩვენმა მეზობლებმა უნდა დაამტკიცონ, რომ მათ ცოტა რამ უსწავლიათ ამ გაკვეთილების წყალობით.

მაგრამ საქრისტიანო და სამაჰმადიანო საქართველოს გაერთიანება ყველაზე მეტად თვით მაჰმადიან ქართველობისთვის არის ხელსაყრელი. მესხეთი ბედნიერი იყო საქართველოს ერთობის დროს და უბედური გახდა გათიშვის ხანაში. ჩვენი ისტორიის პირველ საუკუნეებში აქედან გამოდიოდნენ ჩვენი საუკეთესო სახელმწიფო მოღვაწეები, მწერლები და ხუროთმოძღვრები. ვარძია, ბანა, ფარხალი, ქაჯისციხე მათს შემოქმედებას მოწმობს. რა შეძინა უცხოთა ბატონობამ მესხეთს ამისდაგვარი? ხალხი გალატაკდა, დაეცა ფიზიკურად და სულიერად, ტერიტორიის ერთი ნაწილი უცხო ტომებს დაუთმო, თვითონ კი სანახევროდ წინა აზიის მწირ მიწა-წყალზე გადასახლდა. ძნელია მეორე მაგალითის აღნიშვნა, სადაც ეროვნულ დაქუცმაცების მავნებლობა ასე თვალსაჩინო და ხელშესახები იყოს.

როგორც ბ. ჰაიდარ ბეგ აბაშიძის წერილიდან სჩანს, შეგნებულ მაჰმადიან ქართველობის ნებისყოფა ხელახლა დაკარგულ სამშობლოსკენ მოისწრაფვის. ამ ხალხის სურვილი კი, ყოველს შემთხვევაში, უმაღლესი კანონი უნდა იყოს ქრისტიანი ქართველებისთვისაც და ამიერ კავკასიის მაჰმადიანებისთვისაც. წარსული უბედურებით დიდმა მესხეთმა შეურყეველი უფლება შეიძინა მომავალ ბედნიერებისთვის.

ვ. ნოზაძე(?) — **ვ. ლ...იანი.**

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

გალიციის ასპარეზით უკანასკნელ დღეებში მოსულ ოფიციალ დეპეშათა ცნობით მოპირდაპირე უფრო მეტს აქტიობას იჩენს, ვიდრე სხვა რომელსამე ბრძოლის ველზე. დეპეშებში უკვე ნათქვამია, რომ გერმანელები მრავალრიცხოვანი რაზმებით აწარმოებენ შეტევასო. იმისდა მიხედვით, თუ დანამდვილებით სად ხდება ახლა ბრძოლა, თუნდაც ადგილობრივის ხასიათისა, ცოტა არ იყოს, ფარდას ხდის მათს განზრახვას. თუ ორ დღის წინედ მოპირდაპირემ, გაშმაგებულ იერიშების შემდეგ, რუსებს ორი სიმაღლე იაკობენისთან დაატოვებინა, ახლა უკვე მას იერიშები მოაქვს კაბაროვცესთან, რომელიც მდებარეობს ზოლოჩევის სამხრეთ-აღმოსავლეთით. იაკობენის ხაზი გალიცია-რუმინეთის ასპარეზისათვის ცენტრია. ზოლოჩევის მიდამოკი წვერია, მარცხენა ფრთა გერმანელების ბრძოლის ველისა. საკმაოა გავიხსენოთ რაც მოხდა ამ ორის კვირის განმავლობაში აღმოსავლეთ ბრძოლის ველზე, რომ ჩვენთვის ნათელი იყოს ის ერთგვარი სისტემა მოქმედებისა მოპირდაპირის მხრივ; მკითხველებს ეხსომებათ, რომ ამას წინეთ გერმანელების რაზმი მდ. სერეტს გადავიდა, ეკვეთა რუსებს და შემდეგ უკანვე გატრიალდა, ამას მოჰყვა იაკობინი და შემდეგ ზოლოჩევი. პოლონეთის ასპარეზი და განსაკუთრებით კი რიგა-დვინის ხაზი ამ შემთხვევაში განმარტოვებული სდგას. მოპირდაპირის მოქმედება თითქოს დამოუკიდებელია დანარჩენ აღმოსავლეთ ბრძოლის ველისთვის. ჩვენ სრულებით იმის თქმა არ გვინდა, ვითომ ზოლოჩევთან დაწყებულ ბრძოლას ახლავე აუცილებლივ გენერალური ოპერაცია მოჰყვება შეიძლება, ჯერ-ჯერობით ეს მხოლოდ მანევრები იყოს მოპირდაპირის მხრივ, ან და დარწმუნებულია, რუსები შეტევისათვის ემზადებიანო და სცდილობს ინიციატივა ხელიდან გამოსტაცოს და მოქმედების გეგმა ახლავე ჩაუშალოს. ყოველ შემთხვევაში, მდგომარეობა მეტად მძიმეა და სრულებით მოულოდნელი არ იქნება, რომ ერთს მშვენიერ დღეს მთავარი ოპერაციაც გაჩაღდეს.

## ომის დეპეშები

1 თებერვალი.

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 1 თებერვალი. ოფიციალი. დასავლეთის ფრონტი. ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელების ერთმა ბატალიონმა იერიში მოიტანა და შეიჭრა კიდეც რუსთა თხრილებში დრისვიატის ტბის სამხრეთითა, მაგრამ რუსებს მაშველი ჯარები მოუვიდათ, მტერი უკუაგდეს და წინანდელი მდგომარეობა აღადგინეს. ს. სემენკისა და ლემჩენიატის რაიონებში გერმანელებმა მოშხამული ბოლი გამოუშვეს. დანაკარგის შესახებ ცნობები ჯერ არ მოსულა. საღამოთი 30 იანვარს გერმანელებმა იერიში მოიტანეს რუსთა პოზიციებზე, დაბა კისელინის ჩრდილოეთ რაიონში, მაგრამ მოგერებულ იქმნენ. ნოვოალექსინეცის ჩრდილო-დასავლეთით რუსებმა ნაღმი ააფეთქეს და, ძლიერი ბრძოლის შემდეგ, დაიჭირეს აფეთქებულ ადგილის ერთი პირი.

**რუმინეთის ფრონტი.** 30 იანვარს გერმანელებმა ძლიერი საარტილერიო სროლის შემდეგ ძლიერი ძალებით იერიში მოიტანეს იაკობინ-კიმპოლუნგის შარაგზის ორთავე მხარეს და დაიჭირეს მაღლობი, რომელიც იაკობენის აღმოსავლეთითაა, 4 ვერსის დაშორებით. დანარჩენ ფრონტზე მათი იერიშები მოგერებულ იქმნა. ღამით, 31 იანვარს, ძლიერი ბრძოლის შემდეგ რუსებმა კონტრ იერიშით შეუტიეს, მაღლობიდან გადმოსდევნეს გერმანელები, აღადგინეს ძველი მდგომარეობა და ტყვედ წამოიყვანეს 7 აფიცერი და 156 ჯარის კაცი. ამ ბრძოლაში მოკლულ იქმნა სახელოვანი კომანდირი, პოლკოვნიკი კონინენკო. 31 იანვარს მტერმა გაძლიერებული ძალებით განაახლა იერიშები იაკობენ-კიმპოლუნგის შარაგზის ორთავე მხრით. მთელი დღის ბრძოლის შემდეგ მტერმა აიღო ორი მაღლობი, იაკობენიდან 4 ვერსის სიშორეზე, აღმოსავლეთით. რუსებმა ერთი ვერსით უკან დაიხიეს, და იაკობენიდან 5 ვერსის სიშორეზე დაიჭირეს ახალი მაღლობები, სადაც მომაგრდნენ კიდეც. რუმინეთის დანარჩენ ფრონტზე გაძლიერებული ზვერვაა და სროლა.

კავკასიის ასპარეზი. არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი,** 2 თებერვალი. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. ორი საათის საარტილერიო სროლის შემდეგ გერმანელებმა იერიში მიიტანეს რუსთა თხრილებზე სოფ. კაბაროვცეს რაიონში. სასტიკი ბრძოლა ჯერაც არ გათავებულა. კარპატებში ადგილობრივი ქარ-ბუქია.

**რუმინეთის ფრონტი.** მდგომარეობა უცვლელია.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

**ლონდონი,** 31 იანვარი. იორკში აფეთქდა სამხედრო მასალის საწყობი. დაღუპულთა რიცხვი არ გამორკვეულა. ჰფიქრობენ, მსხვერპლი არ უნდა იყოს. მახლობლად შენობა დაზიანდა.

**ხოლუნი,** 31 იანვარი. ბარსელონაში მყოფმა საბერძნეთის ელჩმა პროტესტი განუცხადა გერმანეთის მთავრობას წყალქვეშა ბრძოლის გაძლიერებისათვის.

**ლონდონი.** 31 იანვარი. უკანასკნელად მთელს დღე-ღამეში გერმანელებმა ჩასძირეს 6 ინგლისელთა გემი, ერთი ნორვეგიელთა გემი და ერთიც ნორვეგიელთა მოტორიანი ნავი.

**პარიჟი.** 31 იანვარი. ანდრელეფევრმა დეპუტატთა პალატაში შეიტანა პროექტი, რომ თვითეული გემი, იქნება ეს საფრანგეთისა თუ მისი მოკავშირეებისა, დაჯილდოვებულ იქმნეს 500 ათასი ფრანკით, თუ მას თავს დაესხმიან გერმანელთა წყალქვეშა.

**ლიონი.** 1 თებერვალი. აფეთქება მოხდა ნევილის თოფის წამლის საწყობში, სომაზე. რამდენიმე კაცი დაშავდა. აფეთქების მიზეზს იკვლევენ.

3 თებერვალი.

**ბარსელონა.** გერმანეთის მთავრობამ ესპანიას შეუთვალა: ყოველკვირეული მიმოსვლა შეგიძლიანთ აწარმოოთ ინგლისთან, მხოლოდ მგზავრებისა და პოსტის საზიდათო. ესპანიის მთავრობამ გადაჭრილი უარი შეუთვალა.

**ვაშინგტონი.** შვეიცარიის დესპანმა შეერთებულ შტატებს სიტყვიერად განუცხადა: გერმანეთის მთავრობა მზადაა შტატებთან მოლაპარაკება გამართოს ინგლისის სანაპიროთა გარემოცვის მოუხსნელადაო. შტატების მთავრობამ თანხმობა უპასუხა, მოლაპარაკებაზე მუდამ მზად არის, მხოლოდ იმ პირობით, თუ გერმანეთი 18 იანვარს გამოცხადებულ გარემოცვას მოხსნისო და 1916 წ. 21 აპრილის მოცემულ სიტყვას აასრულებსო.

**სტოკჰოლმი.** შვეციამ, დანიამ და ნორვეგიამ ფორმალური პროტესტი განუცხადოს გერმანეთსა და ავსტრია-უნგრეთს გარემოცვის გამოცხადებისათვის და აცნობეს: თავისუფალ მოქმედების უფლებას ვიტოვებთ, თუ ადამიანის მსხვერპლი და ნივთიერი ზარალი მოჰყვა ამ გარემოცვასაო.

**ტოკიო.** ესპანიის მთავრობამ იკისრა იაპონიის ქვეშევრდომთა მფარველობა გერმანეთში.

**სტოკჰოლმი.** შვეციის მთავრობამ იკისრა გერმანეთის ქვეშევრდომთა მფარველობა რუსეთში.

**კალიარი.** ჩრდილო-ამერიკის გემი „ლიმან და ლან"-ი სკარდინიის სანაპიროებთან მტრის წყალქვეშას შეჰხვდა. წყალქვეშამ სროლა აუტეხა. გემს ცეცხლი მოედო და დაიძირა. ზედ მყოფი 10 კაცი, მათ შორის 9 ამერიკელი, გადაარჩინეს და კალიარში მივიდნენ.

**პარიჟი.** „ეკო დე პარი" იტყობინება: საფრანგეთის ყველა ნავთსადგურებში ორშაბათს 112 გემი მოვიდა საფრანგეთისა და ნეიტრალ სახელმწიფოებისა.

**პარიჟი.** საზღვაო სამინისტრო იტყობინება: მტრის წყალქვეშამ აღურას შესართავის მახლობლად ექვსჯერ ესროლა ზარბაზანი სანაპიროებს. ნაპირებიდან სროლა აუტეხეს. წყალქვეშამ ჩაიყურყუმელა. 5 კაცია დაჭრილი, 1 მძიმედ. მცირე რამ ზიანი მიაყენეს შენობებს.

**ლონდონი.** ბონარ-ლოუმ პალატას მოსთხოვა 505 მილიონ გირვანქა სტერლინგის გადადება სამხედრო ხარჯების გასასტუმრებლად და განაცხადა: დღევანდლამდე 3,732 მილიონი გირვანქა სტერლინგი გვივალნიაო.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**გარემოცვის ფარგალი.**

გერმანეთის მიერ გარემოცული ფარგალი ფრიად ფართე ყოფილა გარემოცვა იწყება ჰოლანდიის კუნძულ ტერსხელინგიდან და ნორვეგიის სამხრეთ-დასავლეთის კიდეებთან მდებარე კუნძულ უძირემდე მიდის, აქედან ხაზი დასავლეთისაკენ მიდის ფარერის კუნძულებამდე, საიდანაც ქვეით უხვევს და მთელი ინგლისისა და საფრანგეთის სანაპიროებს ესპანიის ჩრდილო-დასავლეთის სანაპიროებამდე. ამგვარად ამერიკიდან და სკანდინავიის სახელმწიფოებიდან მომავალი ინგლისისაკენ და სიფრანგეთისაკენ მიმავალი გზები მთლად შეკრულია.

თავისუფალი მხოლოდ ჰოლანდიიდან ინგლისისაკენ მიმავალი ვიწრო ფარგალია, ესპანიის აღმოსავლეთის სანაპიროები და აფრიკიდან საბერძნეთის სამხრეთ სამხრეთით წაწვდილ კონცხამდე დანარჩენი ადგილები ხმელთაშუა ზღვისა მთლად შეკრულია გერმანელების წყალქვეშა ნავებით.

**წყალქვეშათა რაოდენობა.**

„Journal of Commerce"-ში მოთავსებულია ცნობები ზღვაზე მოთარეშე გერმანელების წყალქვეშათა რაოდენობისა. ამ გაზეთის აზრით დღეს მხოლოდ 100 წყალქვეშაა მოქმედებაში. ომის დაწყებისას გერმანელებს 50 წყალქვეშა ჰქონდათო. 1915 წლის თებერვლამდე კიდევ 50 წყალქვეშა მიუმატეს. მას მერე ძალიან ბევრი 150 კიდევ აეშენებინათო. ომის განმავლობაში 100 წყალქვეშა მაინც დაეღუპებოდათ. როგორც ვხედავთ, ამ გაზეთის ცნობით ეხლა გერმანელებს მხოლოდ ასიოდე წყალქვეშა უნდა ჰქონდეთ. როგორ ახერხებენ ასე მცირე გემებით ისეთი დიდი სივრცის გარემოცვას, როგორც ზევით მოვიყვანეთ, გამოცანაა.

### ბრაზილია

რიო-დე-ჟანეიროდან პარიზში ატყობინებენ: ქალაქიდან 8 ვერსის მოშორებით აღმოაჩინეს უმავთულო ტელეგრაფის სადგური, საიდანაც ცნობებს აწვდიდნენ, თურმე, ნავთსადგურში მომწყვდეულ გერმანელების გემებს.

### შვეცია.

გერმანეთის მთავრობის დავალებით შვეციის მთავრობამ იკისრა რუსეთში მყოფ გერმანეთის ქვეშევრდომთა მფარველობა.

### ესპანია

გაზ. „ლიბერალ"-მა გამოაქვეყნა კორუნიიდან მიღებული წერილი, სადაც ნათქვამია, რომ მადრიდში დატყვევებულ გერმანელების გემ „ბელგრანო"-ზე ჰქონიათ მოწყობილი უმავთულო ტელეგრაფი, საიდანაც ყოველგვარ ცნობებს აწვდიდნენ გერმანეთის აგენტებს.

### პოლონეთის სამეფო

ლოზანოდან იტყობინებიან: რუსეთისა, ავსტრიისა და გერმანეთის პოლონელთა წარმომადგენლების კრებამ უილსონს სამადლობელი ადრესი გაუგზავნეს, რომელშიაც მადლობას უთვლიან იმ პრინციპების მოსარჩლეობისათვის, რომელსაც ემყარება უილსონის მოწოდება.

ადრესი ასე თავდება: ევროპაში მკვიდრ ზავის განმტკიცებაზე ფიქრიც კი მეტია, თუ აღიარებულ არ იქნება ყოველ ეროვნების უფლებანი, თუ არ აღადგენენ ნამდვილად დამოუკიდებელ პოლონეთს, კარპატებიდან ბალტიის ზღვამდე გაერთიანებულს.

### სკანდინავია.

სკანდინავიის სახელმწიფოებმა უილსონს შეუთვალეს, გერმანეთის მიერ გამოცხადებულ გარემოცვის საკითხში თქვენს წინადადებას ვერ გავიზიარებთო. ასეთმა გადაწყვეტილებამ ბერლინში დიდი აღტაცება გამოიწვია. გერმანეთის მთავრობამ აღუთქვა დანიას და შვეციას, ქვანახშირს და რკინეულს არ მოგაკლებთო, თუ კი ნეიტრალობას არ დაარღვევთო.

### შეერთებული შტატები

პრეზიდენტ უილსონს 350 მილიონი დოლარი გადასცეს, რომელიც თავისი მოსაზრების მიხედვით შეუძლიან მოიხმაროს, თუ გერმანეთთან ომი მოუხდა ამერიკას.

### ამერიკა

**ედისონის ახალი აღმოჩენა.**

ცნობილ ედისონს ამერიკის მთავრობისთვის განუცხადებია, ისეთი საშუალება გამოვიგონე, რომლითაც შორი მანძილიდან შეიძლება გაგება თუ სად იმყოფებიან წყალქვეშა ნავები, ჯავშნოსნები და სხვა გემებიო.

**ამერიკელთა მფარველი.**

გერმანეთში მყოფ ამერიკის მოქალაქეთა მფარველობა ესპანიის მთავრობამ იკისრა.

ბერლინში მყოფი შტატების საელჩო საჩქაროდ აბარგებს არქივს.

### გერმანეთი

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: შეერთებულ შტატების დესპანმა ჯერარდმა ბერლინი დასტოვა მთელის სადესპანოთი და მსახურებით. მათ გაჰყვნენ კორესპონდენტები და ბევრი ამერიკელები. გერმანეთში მხოლოდ 350 ამერიკელი-ღა დარჩა.

## უმაღლესი ბრძანებანი

(პეტ. დეპ. სააგ.)

**პეტროგრადი.** უმაღლესის ბრძანებით ბალაშევი სახელმწიფო საბჭოს წევრობიდან დაითხოვეს.

შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი კუკოლ-იასნოპოლსკი სახელმწიფო საბჭოს წევრად დაინიშნა.

## უკანასკნელი ცნობები

[illegible] ამერიკის და გერმანეთის მთავრობის წარმომადგენლებს გადასცა ნოტა, რომლითაც პროტესტია გამოცხადებული გერმანელთა ბლოკადის წინაღმდეგ.

—

გერმანეთმა ნეიტრალ სახელმწიფოთა გემებს 48 საათი მისცა ვადად საკუთარ ნავთსადგურებში შესასვლელად.

—

გემ „კალიფორნიის" დაღუპვის გამო ამერიკაში დიდი აღელვებაა. ამბობენ, გერმანელებმა ისე დაღუპეს, რომ არც კი გააფრთხილესო.

—

ედისონს ახალი მანქანა გამოუგონია, რომლით თურმე შეიძლება გაიგოს კაცმა თუ რა მანძილზე იმყოფება წყალქვეშა ნავი.

—

ამერიკის ელჩი ჯერარდი გერმანეთში შეიპყრეს.

—

მოსკოვში დაუდგენიათ, ქვანახშირის სიმცირის გამო, ტრამვაის მოძრაობა საღამოს 7 საათზე შესწყვიტონ.

## ახალი ამბავი

◆ **წირვა და სამადლობელი პარაკლისი.** გუშინ, 3 იანვარს, აზრუმის აღების წლის თავზე, ალექსანდრე ნეველის სახელობის სამხედრო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა ეპისკოპოსი დამიანე. შემდეგ საქართველოს ეგზარხოსის პლატონის მიერ, ეპისკოპოსის დამიანეს თანამწირველობით, გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი. დაესწრნენ: მეფის ნაცვალი, დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი დ. მ. ანასტასია ნიკოლოზის ასული, დ. მ. პეტრე ნიკოლოზის ძე, მეუღლე მისი დ. მ. მილიცა ნიკოლოზის ასული, მ. უ. ა. პ. პრინცი ოლდენბურგელი. მეფის ნაცვლის ამალა, გენერალი იანუშკევიჩი, გენერალი იუდენიჩი, გენერალი გაბაშვილი, წარმომადგენელნი ქართველ თავად-აზნაურთა, ქალაქის თვითმართველობისა და სხ. პარაკლისის შემდეგ მეფის ნაცვალმა უმაღლესი საზოგადოება და აზრუმის აღებათა მონაწილენი საუზმეზე მიიწვია სასახლეში. ქალაქი მორთული იყო ბაირაღებით.

◆ **ფრესკების გამოფენა** 1 თებერვალს ინახულეს: მისმა იმპერატ. უდიდებულესობამ ანასტასია ნიკოლოზის ასულმა, დიდმა მთავარმა პეტრე ნიკოლოზის ძემ და დიდ მთავრის ასულმა მილიცა ნიკოლოზის ასულმა. გამოფენაზე დაუხვდნენ: საგუბერნიო წინ. მძღოლი კონ. აფხაზი, ექ. თაყაიშვილი, გ. ქურული და მხატვარი დ. შევარდნაძე, რომელნიც სტუმრებს განმარტებას აძლევდნენ. მათნი უდიდებულესობანი თითქმის ერთს საათს

---

## როდემდის

(პატარა ნაგლეჯი ქართლის ცხოვრების სურათისა)

(გაგრძელება)

IV

ვოგზლის ბუფეტში კარგი სუფრა გავაჩაღეთ. ჩემი მობაასე დიდხანს არა მცემდა ხმას—ორივ ყბით ილუკმებოდა, ვიდრე საფუძვლიანი ბოძი არ შეუდგა ცხენზე დანჯღრეულ სტომაქს.

— თქვენ, ჩემო ბატონო...

— ბოდიშს ვიხდი.. მაპატიეთ, თქვენ სოციალისტი ხართ თუ ნაციონალისტი?

— რაო... აღსარებას მათქმევინებთ თუ! რა დროს ისტებია.

— არა, მაინც...

— მე, სეწო ბატონო, ყველა მრწამს აღვიარებ იმდენად, რამდენადაც იგი ჩემს ტურფა სამშობლოს ეროვნულად, ეკონომიურად გააძლიერებს და მის კულტურის განვითარებას ხელს შეუწყობს, პოლიტიკურ მთლიანობას შეუნახავს.

აკი ატენური მაქვსო, იკვეხოდით. მაღალა დღისთვის გინდათ!?..

ჩემი შეკითხვა და ნატვრის ასრულება ერთი იყო—ფინჯნები გაივსო ატენური „ყავით". ბევრი რამ კეთილი უსურვეთ სრულიად საქართველოს და მერე ისევ მე კერძო ბაასი ქართლის ვითარებაზე გადავიტანე.

— თქვენ, ჩემო ბატონო, სულ მთლად გამიცრუეთ იმედები,—ცეცხლზე წყალი დამისხით...

— „მოყვარეს პირში უძრახვენ, მტერს კი პირს უკანაო"—მოკლედ მომიჭრა სიტყვა, ვიხლთე დრო, როდესაც ჩემმა მობაასემ მეხუთეთ დაავლო ხელი ფინჯანს და მეც აღავერდი მივედი... ეს ღმერთმა გააძლიეროს ჩვენი **გადემოკრატებული** თავად-აზნაურობა, მიანიჭოს დიდი უნარი თავადობისა — კვლავ წინამძღოლობისა. წინეთ, ბატონებო, მართალია, ჩვენი თავად-აზნაურობა ახალ ცხოვრებას, ახალ რეჟიმს მომზადებული ვერ დაუხვდა, ვერ მიუხვდა, ალღო ვერ აართვა და მიტომაც ბევრს თავისივე დაუდევრობით ფეხქვეშ გამოეცალა ფიანდაზი—მამაპაპეული განძი და საძირკველი-საკუთარი მიწა-წყალი, მაგრამ დღეს იგივე მოწინავე წოდება, თუ გინდ ნივთიერადაც დაცემული იყოს, მაინც დიდს იმედს გვაძლევს. ჯერ მაგდენიტაც არ გალატაკებულა ზნეობრივად, რომ სამშობლოსადმე სამსახური მისს სულიერ მოთხოვნილებას არ შეადგენდეს. არა, ბატონებო, ქართლში დიდი იმედი ღვივის და რა გაჭირდება, კიდეც მოიხდის „ქართველთადმი ღვთიურ ვალს". ან კიდევ რა უყოთ, რომ დღეს ქართლის გლეხობა—ეს ღმერთმა გაუმარჯოს მათს მკლავს!.. დიაღ, რა უყოთ, რო ქართლის გლეხი მძიმეა, გარინდებულია და რაღაც რეაქციას განიცდის, გლეხობა უმკვიდრესი ბურჯია საქართველოსი, მაგ გარინდებაში დიდი სულიერი ძალაა, მოვა დრო და ამირანი დაჰგლეჯს ჯაჭვებს!..

V

— შე კაი კაცო, და თუ კი ამისთანა ღვინით გიმასპინძლდებოდნენ, მარაღას უჩივი სოფელს!? კარგი და პატიოსანი! თქვენ, ვსთქვათ, იმიტო მოიწყინეთ სოფელში, რომ ყარიბად იყავით. ე თითონ ნეტა როგორღა ატარებენ დროს ამ ქალაქ ღამეებში? ნუ თუ ქართლის ახალგაზრდობას იმის უნარიც აღარა აქვს, გონივრული საღამოები მოამგვაროს: კონცერტი, სპექტაკლი, ლექცია ბუნდოვანი სურათებით,—რამდენი რამ შეიძლება, თუ კი, რასაკვირველია, გული გულობს და სიცოცხლის ხალისი არ დაჰკარგვიათ.

— თავისებურად **კინტოურად** დიაღაც რო ეგენი ატარებენ „კარგს" დროს. დილით, ადგებიან თუ არა, დაერევიან დუქნებს: სმა-ჭამა-ნადიმი, ნარდის კამათლების ჩხრიალი, ტკბილი დუდუკი, ზურნა-არღანი.. დაღამდება, და ახლა სახლებში აქვსთ გაჩაღებული ლოტოს და ბანქოს გაცხარებული თამაში, სულიან ხორციანათ აზარტის ბურუსში არიან გახვეულნი და გათენებამდის ჯანს ალევენ „ბანჩოკს".— „21"-ს უკეთეს შემთხვევაში, შეზარხოშდებიან თუ არა, აბა, „ბარიშნებო", გიტარა და „პესინკები". ამ დროს სადმე კუთხეში ჩურჩულია, შეკავებული სიცილი და ყველას (ქალებს) ცნობის მოყვარეობით თვალები ენთებათ. თურმე პორნოგრაფიულ სურათებს გაუტაცნია ქალ-ვაჟი და „სეკრეტნათ" ჟრნს იკლავენ თავისებურ ესთეტიკით.—

— ერთმა ჩვენმა ცხოვანმა მწერალმა ქალმა მეც შემომჩივლა: ქართლში ერთს დიდს წვეულებაზე თურმე მის ჭალარასაც არ დაერიდნენ და პაწია დურბინდში გაახედეს,—ხოლო რა ნახა, ის აღარა სთქვა... მხოლოდ გაწითლდა...

— დიაღ, იმას მოგახსენებდით, ხვალინდელი დღეც დღევანდელის ასლია და ასე თქვენი ნაქები ბრწყინვალე წოდება, ასე ყოვლად უაზროდ, უსაგნოთ, უმიზნოთ ხარჯავს ახალგაზრდა ენერგიას. ასე უსარგებლოდ ატარებენ დროს, ასე ლევენ თავიანთ ნაძალადევ წუთისოფელს.

— მე კვლავ ვაქებ, ვინც რო მიქია! აბა თქვენგნით არ მიკვირს! განა მაგ ჯურა სალახანები ანგარიშში მისაღებნი არიან! განა ეგ ზნეობრივი სახიჩრები მყავს მხედველობაში, როდესაც მე **თავად აზნაურობაზე** ვამყარებ ხსნის იმედებს! მე ბურჯად მიმაჩნია აქტიური ელემენტი დემოკრატიისა, სამშობლოს სიყვარულით გამსჭვალული ინტელიგენცია, და რომ დღეს ამ ჯურა მოღვაწეთა შორის უმეტესობას ჩვენი თავად-აზნაურობა შეადგენს, ამას არავითარი ეჭვი არა აქვს და მეც კვლავ ვაქებ, ვინც რო მიქია.

— „აქლემსა, ჰკითხეს: ეგ კისერი რათა გაქვს მრუდეო?—„სხვა რა მაქვს სწორე, რომ კისერი მქონდესო"... იცით რა მოგახსენოთ...

ქართველობა ჯერ დღესაც ძრიელ ჩამორჩენილი ვართ ცივილიზაციას, განათლებულ ხალხს. რაღა სოფელი და რაღა ქალაქი! აბა სხვა რა გვაქვს სწორეთ, მართებულად დაყენებული?! განა ჩვენი აღზრდილი არ არი დღევანდელი თაობა, რომელსაც ჩვენვე კრიტიკის ქარ ცეცხლში ვატარებთ?!— ნათქვამია „ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმასვე ამოგძახებს".

— სიტყვამ მოიტანა და მეც მოგახსენებთ... ამ მხრივ ჩვენთვის მიუწდომელ სიმაღლეზე სდგას პოლონელთა ცხოვრება. გაგონილი მაქვს და ბევრიც წამიკითხავს, რა გვარის ენერგიით და სიყვარულით მუშაობენ სამშობლოს მამითადზე პოლონელთა ინტელიგენცია დიდი და პატარა და მეტადრე ქალები! არამც თუ თითონ მოტრფიალე ყმაწვილკაცობასაც კი ძალად უღვიძებენ პატრიოტულ გრძნობას ან და თუ ვერა გააწყეს-რა, სრულებით განდევნიან თავიანთ წრიდან, ვითარცა გაველურებულ რეგვენს. იმდენად გატაცებულნი არიან ეს ქალები ეროვნული დედებით, რომ ჩაცმა-დახურვაში იკლებენ, ტკბილეულობას უარ ჰყოფენ, ფუფუნებას ჩვეულნი ყველაფერზე ხელს იღებენ და ამ გვარ ყაირათით აგროვებენ საკმაო დიდ თანხას ეროვნულ კულტურის გაძლიერებისათვის. ამ თანხის დანიშნულებაა გამოსცენ სახალხოთ შინაარსიანი წიგნაკები და დაურიგონ იაფად და ზოგს უფასოდ, მოაწყონ სოფლად ლექციები ბუნდოვან სურათებით და სხვ. ამისთვის მთელი რაზმი ჰყავთ სოფელსოფელ მოსიარულედ მოძრავი ბიბლიოთეკებით, სურათებით და სხვ.

— დამისხით და ახლა მეც მათქმევინეთ. მრძანეთ.

— მე ის მინდა მოგახსენოთ, რომ მაგრე ზერელად მსჯავრის დება, ცოტა არ იყოს, არ არის სამართლიანი. აბა სად ჩვენ და სად პოლონეთის უმაღლესი კულტურა! ბატონო ჩემო, და ასი წელიწადი მეტია ჩვენი **კულტურტრეგერები** სულ იმას ცდილობდნენ ქართველობა (ჯერ თავად-აზნაურობა უწინ და ახლა ხალხიც) ფუქსავატ ცხოვრებისკენ გაეტაცნათ, გადაერჯულებინათ, გადაეგვარებინათ. „ხარი ხართან დააბი, ან ზნეს იცვლის ან ფერსაო". აბა ვინ იყვნენ ჩვენი ცივილიზატორები, თუ არ სამხედრო პირნი და ჩინოვნიკობა? ესენი რა იდეალებს ატარებდნენ: ომი, ღხინი, ჩინები და ორდენები, და უაღრესი იდეალი—**ღენერლობა**. ჰო და, ჩვენებსაც ეს უნდოდათ. მართლაც და რომელი ჰკუათა მყოფელი რუსის ინტელიგენტი (ამ სიტყვის ჭეშმარიტის მნიშვნელობით) ადგილიდან დაიძროდა და საქართველოში შემოიტანდა ნამდვილ სინათლის ლამპარს? მეტადრე ამ სამოციოდე წლის წინათ ვინ გასწირავდა თავს, როდესაც მოსკოვიდან თბილისამდე სამი თვის სავალი იყო და ლეკიანობა ჯერ დაუცხრობელი.

ეჰ! ჯერ დღეს რა ყოფაში ვართ, რო მაშინ რა იქნებოდა! „ბევრი ჰო!.. ჰო!.. ხარსაც გააგიჟებსო" იმდენი ეცადნენ და უჩიჩინეს, რო აზშიაც ჩვენს თავად-აზნაურობას (მაშინ გლეხს ვინ რასა ჰკითხავდა) ყოველივე ზნეობრივი, ეროვნული ბურჯი ფეხქვეშიდან გამოაცალეს, განგებ ისეთ პრუტყუულ ცხოვრებას შე ჩვიეს, წააქეზეს, რომ აღარავითარ კულტურულ მისწრაფებას, უმაღლეს იდეალს აღარ ესწრაფვოდნენ. სამსახურში წარჩინება, უფროსის (ნაჩალსტვის) მორჩილება, ბანქო, ღვინო და კეკლუცი ქალები,—აი რაში ახატებოდა ჩვენში გადმოხვეწილ რუსების „ინტელიგენციის" იდეალები და ია რა ტრადიციებს შეაჩვიეს ჯერ ჩვენი თავად-აზნაურობა და ახლა ხალხი.—ახლა კი გვიკვირს, ვშფოთავთ: ხალხი გადაგვარდა, გადარჯულდა, გათახსირდა, ფუქსავატობამ გაიტაცაო, მისთვის ეროვნული წმიდათა-წმიდა აღარ არსებობსო *), და სხვ.

ჰო და აბა „საიდან სადაო და წმიდა საბაო" სად პოლონელები, სად ჩვენ! იქ რო რუსებმა ფეხი შესდგეს, პოლონეთი ისეთ უმაღლეს კულტურას იყო მიხწეული, რო რუსებს სიზმრათაც არ ელანდებოდათ.

**ილ. ალხაზიშვილი.**

(შემდეგი იქნება)

*) რუსის აფიცერ-ჩინოვნიკობა განგებ კი არ იქცეოდნენ წინათვე მოსაზრებულ გეგმით, მე ეს არ მჯერა, გულწრფელად გვაწვდიდნენ იმას, რაც თითონ ჰქონდათ.

დარჩნენ გამოფენაზე და მეტად კმაყოფილნი დარჩნენ ყოველივე ნანახით.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს საღამოს, სახალ. სახლში ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ გამართება სადღესასწაულო წარმოდგენა ნიკო გოცირიძის სახალხო სცენაზე 20 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად. წარმოდგენილი იქნება: I „ტარტიუფი", II „მახვერპლი", III მილოცვები, IV „ხანუმა". დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

◆ **მზრუნველის ჩამოსვლა.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი პეტროგრადიდან დღეს ჩამოვა თბილისში.

◆ **ხელოსნო სასწავლებლები.** პირველ ივლისიდან პირველ დაწყებითი ხელოსნო სასწავლებლები გაიხსნება ქ. შუშაში და ბატალპაშინ კში.

◆ **შაქარი.** თებერვალში ქალაქის სასურსათო დუქნებიდგან კაცის თავზე მიეცემათ 2½ გირვანქა შაქარი, მარტში სააღდგომოთ—3 გირვ. 3 თებერვლიდან გირვანქა შაქარი 29 კაპ. გაიყიდება.

◆ **ქალაქის სესხი.** 2 თებერვალს შეერთებული კრება ჰქონდა ქალაქის გამგეობას და საფინანსო კომისიას. კრებაზე მიწვეული იყვნენ ადგილობრივ ბანკების წარმომარგენელნი. გადასაწყვეტი იყო საკითხი 3 მილიონ მანეთის სესხად აღების შესახებ, რომელიც ქალაქის თვითმართველობას სჭირდება მოკლევადიან ვალდებულებათა დასაფარავად. საკითხი ქალაქის სასარგებლოდ გადაწყდა. სესხზე ხელს აწერენ: 1) აზოვ-დონის ბანკი 500.000 მან., 2) ვოლგა-გამის ბანკი 500.000 მან., 3) პეტროგრადის საერთაშორისო ბანკ 500.000 მან., 4) კავკასიის საკომერციო ბანკი 500.000 მან., 5) პირველ საურთიერთო ნდობის ბანკი 400.000 მან., 6) მეორე საურთიერთო ხდობის ბანკი 250.000 მან., ვადა სესხისა 5 წელიწადია. ფულის სარგებელია პირველ 18 თვეს 6½%, მეორე 18 თვეს 7%, დანარჩენ 24 თვეს ½%-ით მეტი, ვიდრე სახელმწიფო ბანკი იძლევი.

◆ **ცისფერი ყანწების საღამო.** 2 თებერვალს თბილისის საიმპერატორო სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა ცისფერ ყანწების საღამო. ხალხი ბლომად დაესწრო. რაც პროგრამაში ნომრები იყო მოხსენებული, ყველაფერი აღასრულეს.

◆ **დაპატიმრება.** პოლიციამ დაატუსაღა ყაჩაღად გავარდნილი ჯარისკაცები: ვასილ ბარასულოვი, გიორგი მიკირტიჩიანცი, დავით ჩალატიანცი, აბრამ სკლიაროვი, არალიონ ბელიაევი, არშაკ ანდრიასოვი, არუტუნ მოსესოვი, პეტრე ფოკინი, ალექსანდრე ჯოგურიშვილი, ვახტანგ დულაშვილი, თევდორე შევჩენკო, რევაზ კეფშ ევი, აბრამ პუკანოვი, ვასილ გლადჩენკო, სიმონ გუგუშვილი, ნიკოლოზ პაატოვი, არამ მუსალიანცი, ი. ა. ვერნადოვი და ვლადიმერ ტინიაკოვი.

◆ **ბოსტნები ლაზარეთებთან.** როგორც ვიცით, მ. უ. პრინცმა ა. პ. ოლდენბურგელმა ბრძანება გამოსცა, რომ ლაზარეთებთან გააშენონ ბოსტნები. ამის გამო სამხედრო ლაზარეთების ექიმებმა თხოვნით მიმართეს ქალაქის გამგეობას უსასყიდლოდ დაუთმოს ლაზარეთებს საქალაქო მიწები საბოსტნეებად. გამგეობამ საადგილმამულო კომისიას დაავალა გამოარკვიოს, თუ სად და რამდენი თავისუფალი მიწები აქვს ქალაქს, ხოლო მცენარეების მომშენებელ კომისიას დაავალა გამგეობამ გამოარკვიოს, რამდენად გამოადგება საქალაქო ესა თუ ის ადგილი საბოსტნედ. გამგეობა იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ადგილები, თუ კი გამოდგება საბოსტნედ, უსასყიდლოდ დაუთმოს ლაზარეთებს, რადგან შემდეგისათვის მეტი ფასი დაედება ამ მამულებსაო.

◆ **საგანგებო კრება.** ხვალ, 5 თებერვალს, დილის 12 საათზე „ახალი კლუბის"-ს დარბაზში დანიშნულია წერა-კითხვის საზოგადოების წევრთა საგანგებო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს და მტკიცოს 1917 წლის ხარჯთ-აღრიცხვა და მიიღოს ახალი წევრები.

◆ **ქართულ სასოფლო სამეურნეო** საზოგადოების სასარგებლოდ გადასდვა საგუბერნიო სამართველომ საერობო თანხიდან 1200 მან. ამავე საზოგადოებას მოუვიდა მიწადმოქმედების დეპარტამენტისაგან 1916 წლის ანგარიშში 1,585 მანეთი ამერიკულ ვაზის გასაშენებლად კახეთში.

◆ **დენატურატი,** რომელსაც მანქანების ასამუშავებლად ხმარობენ, როსტოვის კომიტეტის გადაწყვეტილების მიხედვით, 85 კაპეიკად უნდა ჰყიდდნენ ფუთს. ნამდვილად კი თბილისის ვაჭრები, რომელთაც ეს საქონელი ხელში ჩაიგდეს, ფუთს ჰყიდიან 1 მან. 40 კაპ. მარტო ქალაქის თვითმართველობას სჭირდება წელიწადში ნახევარ მილიონ ფუთამდე დენატურატი და თუ საქონელს ზომიერი ფასი არ დაედვა, ზედმეტი უნდა დახარჯოს ქალაქმა 300,000 მანეთამდე. ამის გამო ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა ვისთანაც ჯერ არს, რომ ქალაქს დამოუკიდებლად შეეძლოს დენატურატის გამოწერა ბაქოდან.

◆ **სახელმწიფო საბიუჯეტო კომისიაში,** რომელზედაც მონაწილეობას იღებდა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი რუდოლფი, გადადებული იქმნა განსაზღვრული თანხა კავკასიის მომავალ პოლიტეხნიკუმისათვის.

◆ შუამთის მონასტერს ახლოს იპოვნეს მკვდარი კაცის გვამი. ვინაობა არ იციან.

◆ **თბილისის „საკრებულოში"** (კლუბი) 1 თებერვალს ვიღაცას მოუპარავს 2761 დასტა სათამაშო ქაღადი (ბანქო)

◆ **სასურსათო საქმე.** ქალაქის გამგეობასთან მოლაპარაკება აქვს ვინმე მიქელიანს, რომელიც პირობას იძლევა, რომ ყოველ დღე შემიძლიან, ქალაქს მივაწოდო 50 სული სხვილ ფეხა ცოცხალი საქონელიო, ფუთი 10 მანეთადო. საქონელს ჯულფაში ჩააბარებს ქალაქის წარმომადგენელს. ეს წინადადება ხელსაყრელად მიაჩნიათ და ამბობენ, რომ ქალაქი თუ მოურიგდა მიქაელიანცს, გირვანქა ძროხის ხორცი ორ აბაზამდე დაიწევსო.

◆ **არჩევნები.** ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების ბათომის განყოფილებამ 29 იანვარს აირჩია: განყოფილების თავმჯდომარედ ს. მდივანი, თავმჯდომარის ამხანაგად რეჯებ ბეგი ნიჟარაძე, გამგეობის წევრებად—გ. ანჯაფარიძე, ა. შატილოვი, ისმაილ ეფენდი ლორთქიფანიძე და კ. გოგოლაძე, მათ კანდიდატებად—გ. ნინიძე, კ. გუგუნავა და ო. რამიშვილი.

◆ **მკვლელობა.** თბილისში შემოხიზნულმა ლტოლვილმა ვინმე ლევიცკიმ, რომელიც ერთ დროს მომრიგებელ მოსამსახურედ ყოფილა საჩრდილო-დასავლეთ რუსეთში, 2 თებერვალს, დილით, თავის ბინაზე (ელისაბედის ქუჩაზე) შეშის ნაპობით მოჰკლა თავისი ცოლი და შემდეგ დაახრჩო თავისი მცირე წლოვანი შვილი, რომელიც, ჰყვიროდა თურმე: „რათა ჰკლავ დედასო!"

◆ **სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებას** იანვრის განმავლობაში გაუგზავნია თავის საწყობებში სხვა და სხვა ადგილას: ფქვილი 101 ვაგ. ბრინჯი 4 ვაგ. საპონი 320 ფუთი, ფხვნილი შაქარი 2 ვაგ. და ასანთი 55.000 კოლოფი. ამავე საზოგადოებას შეუძენია ახალსენაკში 10 ვაგონი მუხუდო და ფოთში 10 ვაგონი ქერი.

◆ **კავკასიის საოლქო სავაჭრო-სამრეწველო კომიტეტს** წინადადება მოუვიდა სხვა და სხვა კომიტეტებისა და ქალაქებისაგან, რომ 300,000 ფუთამდე პამიდორს მოგაწვდით, ფუთს 7—15 მანეთად ჭურჭლიანათ. კომიტეტმა წინადადება მოიწონა და გადასწყვიტა გამყიდველებს ფულის ერთი ნაწილი წინდაწინ მისცეს.

◆ **ვალერიან გუნიას საიუბილეო კომიტეტის** კრება 31 იანვარს გაიმართა ქართულ დრამატიულ საზოგადოების თავმჯდომარის ი. ბარათაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას ქართულ საკულტურო-საგანმანათლებლო დაწესებულებათა წარმომადგენელნიც დაესწრნენ. კრებამ დაადგინა, იუბილე გაიმართოს ნააღდგომევს, სახელდობ სამ აპრილს. გადასწყდა, ყოველი ღონისძიება იქმნეს მიღებული, რომ საიუბილეო კომიტეტს იუბილესთვის მთელი დღე დაეთმოს სახაზინო, ან საარტისტო საზოგადოების თეატრი. თუ ეს შეუძლებელი იქნება, მაშინ დილით რომელიმე დიდს დარბაზში გაიმართება ფასიანი დიდი საზეიმო კრება ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა, ხოლო საღამოთი წარმოდგენა გაიმართება სახალხო თეატრში. წარმოდგენილი იქნება იუბილიარის პიესები: „ოლღუში" და „ციხის საიდუმლო", დაწვრილებით პროგრამა დღესასწაულისა გამოცხადებული იქნება.

◆ **ქალაქის სასურსათო-აღმასრულებელი კომისიას** სხდომა ჰქონდა 31 იანვარს. ხმ. ნ. ე. წვერავამ მოხსენება წაიკითხა სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ პეტროგრადში. მოხსენება ყოველ მხრივ დასაბუთებული იყო და კომისიამ მადლობა გამოუცხადა ბ-ნ წვერავას. შემდეგ კრებამ მოიწონა ხმ. არ. ბაზოვის წინადადება, რომ საქალაქო ფურნეების მუშაობა გაფართოვდეს ისე, რომ დღეში 2.000 ფუთამდე პური ცხვებოდეს, ნაცვლად ეხლანდელ 1000 ფუთისა. ხმ. ალდადანოვის წინადადება, რომ თბილისში შემოსვლა აეკრძალოს იმ პირთ, ვისაც განსაკუთრებული საქმე არ აქვს აქ, კომისიამ არ შეიწყნარა, რადგან ამ წინადადების შესრულება ტეხნიკურად შეუძლებელიაო.

◆ **ახალი საქალაქო დებულება** პეტროგრადში უკვე განხილულ იქმნა. ამ დებულების ძალით, სხვათა შორის სრულიად გაუქმებულია გუბერნატორის ზედამხედველობა ქალაქის თვითმართველობის საზოგადო საქმეებში. გუბერნატორს მხოლოდ ევალება თვალყური ადევნოს ქალაქის მეურნეობას და მისს ფინანსებს. როცა შეამჩნევს რაიმე რყევას ქალაქის ნივთიერ მდგომარეობისას, გუბერნატორს ნება ეძლევა ქალაქის საბჭო სრულებით დაითხოვოს ახალ არჩევნებამდე. ასეთ შემთხვევაში საშინაო საქმეთა მინისტრი უმაღლესად გამოითხოვს ნებას, დაინიშნოს ახალი ვადა არჩევნებისა. ამ გვარ შემთხვევაში მინისტრს ნება ეძლევა დაითხოვოს ქალაქის თვითმართველობის თანამდებობის პირნიც და მთელი აღმასრულებელი ორგანოც და მათი საქმე ჩააბაროს მთავრობის წარმომადგენელთ, რომელთა შორის ერთი ქალაქის გამგედ დაინიშნება.

◆ **ტრამვაის ბილეთები.** სანამ ტრამვაი უსახელო საზოგადოების ხელში იყო, ტრამვაის ადმინისტრაცია ყოველ წლივ 200 ბილეთს უსასყიდლოდ აძლევდა ქალაქის გამგეობას მოსამსახურეთათვის. ქალაქის ხელში როცა გადმოვიდა ტრამვაი, საბჭომ გააუქმა უსასყიდლო ბილეთები, ხოლო ქალაქის მოსამსახურეთა შესახებ იმავე საბჭომ დაადგინა, რომ გამგეობამ ნაღდ ფულზე იყიდოს ტრამვაის ბილეთები თავის მოსამსახურეთათვის. ქალაქის გამგეობამ წესები შეიმუშავა, თუ ვის რა წესით მიეცეს უსასყიდლო ბილეთები. ამ წესების მიხედვით, უსასყიდლო ბილეთები მიეცემათ ქალაქის საბჭოს შემდეგ კომისიების წევრებს: სარევიზიო, მცენარეების მომშენებელ, სატრამვაიო და სასურსათო კომისიებისა და აგრეთვე ქალაქის თვითმართველობის იმ მოსამსახურეებს, რომელთა მიმოსვლას ქალაქში მათი პირდაპირი მოვალეობა თხოულობს, სულ დარიგდება 250 უსასყიდლო ბილეთი. დანარჩენ მოსამსახურეთ 60 მანეთად უნდა დაეთმოთ ბილეთი და ბილეთის ფასი ჯამაგირიდან უნდა გამოერიცხოთ თვეში ხუთ-ხუთი მანეთი. ეს პროექტი საბჭოს წარედგინება განსახილველად.

◆ **ქურდობა.** 2 თებერვალს, ნაშუადღევს, როცა ყველანი სასადილოდ იყვნენ წასული, ვიღაცამ მოახერხა პიოვაროვის მაღაზიაში (სასახლის ქუჩაზე) შესვლა და 5000 მანეთის ძვირფასი ნივთები მოიპარა.

◆ **ქართველ მოღვაწეთა პანთეონის** სასარგებლოდ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობამ მიიღო თბილისის გუბერნატორისაგან 61 მან. 88 კაპ.

◆ **ქალაქ თბილისის გეგმა.** ქალაქის საბჭომ თანახმად ქალაქის გამგეობის მოხსენებისა დაადგინა, შედგენილ იქმნას ახალი გეგმა ქალაქ თბილისისა. გეგმის შედგენა და დაბეჭდვა უნდა განხორციელდეს ოთხს წელიწადში. ამ საქმისთვის საბჭომ 158,000 მ.ნ. გადასდო.

◆ **საზეითლო ინსტიტუტი.** წელს, შუა იანვრის რიცხვებში დაამთავრეს ალექსის სახელობის საზეითლო ინსტიტუტი შემდეგმა ქართველებმა: ვ. ს. ამაღლობელმა, ა. ვ. ხარატიშვილმა, ი. ფ. გორგიძემ, ი. ა. მეტრეველმა და შ. გ. ხუციშვილმა. ი. ფ. გორგიძე დანიშნეს ქ. ვორონეჟში, დანარჩენები კი კავკასიის ფრონტზე.

**ქუთაისი.**

თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულომ დაადგინა: ალექსი ჭიჭინაძის კუბოს გვირგვინით შემკობის ნაცვლად სწავლის ფულის გადახდისაგან გაანთავისუფლოს 3 ღარიბესი მოწაფე ქართულ გიმნაზიისა.

**სიღნაღი.**

სახადით ავადმყოფს ექიმს ჯანდიერს უკეთობა ეტყობა.

**ჭიათურა.**

აქაურ სასკოლო ეკლესიაში სლავიანურადა სწირავენ.

**ბაქო.**

ადგილობრივის გაზეთების გამომცემლებმა დაადგინეს 8 კაპიკად გახადონ ცალკე ნომრის ფასი.

**თელავი.**

სოფ. კუჭატანის მცხოვრებთ დიმიტრი და იოსებ ხარაბაძეებს ბოროტგამზრახველებმა დაუწვეს ქოხ-საბძელი, ზარალი 1000 მანეთისაა. ეჭვი მიიტანეს ივანე გოგილაშვილზე.

**სოფ. ზომლეთი** (გურია).

სოფ. ზომლეთის კოოპერატივის გამგეს თევდორე ქურიძეს, 1 თებერვალს თბილისის სადგურზედ მოჰპარეს ამავე კოოპერატივისთვის ნაყიდი საგალანტერეიო და სხვა საქონელი, ღირებულ—200 მანეთისა.

**ანაკლია** (ზუგ. მაზ.)

იანვრის 18 აქაურ ფოსტა-ტელეგრაფის კანტორას ცეცხლი გაუჩნდა და სულ გადაიწვა. კანტორის უფროსმა გადაარჩინა მხოლოდ: 3813 მან., საფოსტო ნიშნები 311 მანეთისა, წიგნები 263 მან. დაიწვა რკინის საფულე და სხ. წვრილმანი 195 მანეთისა, მოსამსახურეებს დაეწვათ 973 მან., ნივთები. სახლის პატრონის ზარალი, 8000 მანეთს აღემატება.

**ს. ხარაჯამიში** (ყარსის ოლქი).

აქაურ ქართველების კრებამ ერთხმად დაადგინა ქ. შ. წ.-კ. გამავ. საზოგადოების განყოფილების დაარსება. უკვე ამოირჩია გამგეობა. მოხსენება და ოქმი მთავარ გამგეობას გაეგზავნა.

— აფეთქება მოხდა, იმსხვერპლა რამოდენიმე მუშა, მათს შორის ქართველებიცაა,

# ომში

**(მოკლულნი, დაჭრილნი და დაჯილდოვებულნი).**

მიეცათ პრაპორშჩიკობა: მილიციის იუნკერს ალექსი **ქუმსიშვილს**; მილიციის იუნკერობა—კავკასიის საპოლიციო დარაჯთა უფროს ურიადნიკს—რომანოზ **კეკელიას**! მე-2 ხარისხ. ორდენი წმ. სტანისლავისა ხმლებით:—პრაპორშჩიკ ვარლამ **მაჭავარიანს**, პოდპორუჩიკს — ალექსანდრე **ომიძეს**; ხმლები და ბანტი უკვე ბოძებულ 3 ხარ. წმ. ანნას ორდენისათვის—კაპიტან მიხ. **იზნაძეს**; ორდ. 3 ხარისხ. წმინ. სტანისლავისა:—პრაპორშჩიკებს ვახტანგ **ხუციშვილს**, ივანე **ხაინდრავას**; წმ. სტანისლავ. მე-2 ხ. ხარ.—კაპიტანს ალექსანდრე **ზუბალაშვილს**.

# ქართლ-კახეთის ქართული მონასტრები

**საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორის დღევანდელ მზრუნველობის ქვეშ.**

(მეორე წერილი)

მონასტერთა გამგეობა და ბერების ცხოვრების ყოველი მხარე ეკითხება და ეუფლება საქართველო-იმერეთის სასინოდო კონტორას. ეს უკანასკნელი თავის უფლებებს ანხორციელებს მონასტრების წინამძღვრებისა და კეთილმოწესეს საშუალებით. უბედურება იქიდან წარმოსდგება, რომ ზოგიერთა მონასტრების წინამძღვრები ინიშნებიან კონტორის წევრად. რასაკვირველია, კონტორის წევრი მოვალეა მუდამ თბილისში იცხოვროს და ამის გამო მონასტერი იძულებული ხდება დარჩეს უპატრონოდ და უხელმძღვანელოდ, ე. ი. მოშივდება კრებულს თუ მოსწყურდება, ავად გახდება ვინმე თუ მოკვდება, სეფისკვერ-ზედაშე დაელევათ თუ სულაც მოისპობა მონასტერში წირვა-ლოცვა, ამისთვის არავინ ზრუნავს და თავს არავინ იტკივებს. მართალია, კანტორის წევრი-წინამძღვარი თავის ნაცვლად მონასტერში სტოვებს ხაზინადარს, მაგრამ საქმით ეს ხაზინადარი არაფერსაც არ არიგებს კრებულისათვის.

საქმე ის გახლავსთ, რომ კონტორის წევრს-წინამძღვარს ყოველთვის ეპისკოპოსობის მიღების საღერღელი აქვსთ აშლილი. რომ უსათუოდ და, რაც შეიძლება, დროზე მიაღწიოს გულის წადილს, წევრისათვის საჭიროა კეთილ განწყობილებაში ყოფნა მარტო ბობოლებთან და მდივნებთან კი არა, მაგიდის უფროსებთან და გადამწერლებთანაც, ასეთ განწყობილებას კი ისე არა ამტკიცებს რა, როგორც ფეშქაშობა, და აი ამიტომ ცისმარე კვირას ხაზინადარი წინამძღვრისაკენ მოაჭრიალებს თბილისში თუ ფქვილით, თუ ღვინით, თუ ხილით, თუ ერბოყველით, თუ სხვა რამ სანოვაგით ან შეშით დასაპალნებულ ურემს და არაფერს ნაღვლობს, რომ მონასტერში კრებული გაჭირვებას განიცდის.

ესეც რომ არ იყოს, ხაზინადარი ხშირადაა საჭირო წინამძღვრისათვის: ხაზინადარმა ყოველ კვირა უნდა თბილისში იყიდოს კრებულის სახელზე სანოვაგე: დოში, ზურგიელი, ხიზილალა, ბრინჯი, მაკარონი, ზეთი, სოკო, გასწეროს ხარჯები სამონასტრო დავთარით და ნასყიდის ოთხი მეხუთედი წინამძღვარს დაუტეოს. აი, რას უნდება და ვის ემსახურება კონტორის წევრის საწინამძღვრო მონასტრის ხაზინადარი. წინამძღვარი და ხაზინადარი ბევრს რამეს ხარჯავენ და ბევრს რამეს ყიდულობენ ვითომდა მონასტრისა და კრებულისათვის, მაგრამ ნასყიდი კი მონასტრამდე აღარ აღწევს.

თუ მკითხველი არ დაგვემდურება, ერთ საილუსტრაციო ამბავს მოვიყვანთ კარგა ხნის წარსულიდან. ოთხმოციან წლებში კონტორის წევრის ერთ-ერთს საწინამძღვრო მონასტერს შენახული ჰქონია სახაზინო ბანკში 12 ათასი მანეთი. გამწყრალა ღმერთი და ამ ფულების მითვისება განუზრახავს წინამძღვარს. ცოტა ხნის მოფიქრების შემდეგ დაუბარებისა ხაზინადარი და უბრძანებია: დაუყონებლივ შემოდი ჩემთან თხოვნით კრებულის სახელით, რომ აუცილებლად საჭიროა მონასტერში ახალი ბინების აშენება, რადგანაც უხსოვარ დროიდგან აშენებული ქვიტკირის სახლების კედლებიდან ნოტიო გამოჟონავს და კრებულს ველარ აუტანია ასეთ ბინებში ცხოვრებაო. ხაზინადრის მოხსენებას თვით წინამძღვარი უკითხავს კონტორის სხდომას და პირადად აძლევს საჭირო ცნობებს. კონტორაც ავალებს თავის ხუროთმოძღვარს შენობის გეგმისა და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას; მოკლე დროში ამტკიცებს ყველაფერს, ნიშნავს აღმაშენებელ კომიტეტს კანტორის წევრის თავმჯდომარეობით, აძლევს ხარჯების ჩასაწერად ზონარ-გაყრილ და ბეჭედ დაკრულ დავთრებს და უნიშნავს შენობის დამთავრების ვადას. განსაზღვრულ დროზე წინამძღვარი მოახსენებს კანტორას: შენობა დავამთავრე და კეთილ ინებეთ მისი შემოწმებაო. იგზავნება კომისია, იწერება ოქმი და გამოდის, რომ შენობა გაცილებით უმჯობესი და უფართოესია, ვიდრე ჩვენი გეგმით განზრახულიო, ყველა ეს უნდა მიეწეროს მამა წინამძღვრის და ხაზინადრის გამჭრიახობას და იმედი გვაქვს კონტორა ინებებს ხსენებული პირების სათანადოდ დაჯილდოებასო. ეს დოკუმენტი დღესაც ლამაზად დაცულ-შენახულია სათანადო დაწესებულების ერთ-ერთ არქივში, მხოლოდ თვით ვითომდა შემოწმებული სახლი თვალით არავის უხილავს და საუცხოვოდ ნაწარმოები შესავალ-გასავლის წიგნის აუარებელი საშენებელი მასალიდამ ერთი კასრი კირიც არ უნახავთ მონასტერში მიტანილი იმ დროის ბერებს!

ვგონებს, საგულისხმო ფაქტია! ვგონებ, ყველასთვის მისახვედრია, რაგვარ მზრუნველობასაც უწევს სასინოდო კონტორა ქართულ მონასტრებს!

კონტორას მეტრიკის წიგნებზე ხელის მომწერი და ცოლქმართა გაყრის საჩივრებზე დამსწრე მოხელე სჭირდება და ასეთ მოხელედ იგი იწვევს მონასტრის წინამძღვარს, ე. ი. ისეთი დაწესებულების წევრს, რომელსაც არავითარი ზიარობა არა აქვს მეტრიკებთან და ცოლ-ქმრების საჩივრებთან, იწვევს მონასტრისავე ჯამაგირით და ულუფით! სამწუხაროდ, ბოროტება მარტო ამით არ ისაზღვრება; კონტორის წევრი, ჩასახლებული თბილისში, აშკარად ჰკრეხავს მონასტერს და ეს უბედურება გადამდებ სენად ედება მისგან ბევრ სულდაბალ წინამძღვრებსაც, რომლებიც არაფრით ინდობენ მათდამი ჩაბარებულ მონასტრებს.

ზემოთ ნახსენები გვქონდა, რომ კონტორა თავისს უფლებებს მონასტრებზე ანხორციელებს მონასტერთა კეთილმოწესეს საშუალებითო. მონასტერთა კეთილმოწესეობა იმდენათ საინტერესო თანამდებობაა, რომ მეტი არ იქნება ამასაც ცალკე წერილი ვუძღვნათ.

**მორწმუნე.**

# ღია წერილი ჩვენს ერთმორწმუნე კავკასიელ თურქებს.

ჩვენო ერთმორწმუნენო!

ამ უკანასკნელ დღეებში ვკითხულობთ თურქულ პრესაში თქვენს გულისწყრომას ჩვენ ძმებ ქართველ ქრისტიანებისადმი. როგორც თქვენი ნაწერებიდან სჩანს, თქვენი გულისწყრომა გამოიხატება იმაში, რომ ჩვენმა ძმებმა კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ორიოდე ეროვნული სკოლა, რომელსაც დიდი ხანია შევნატროდით, და სადაც შეგვიძლია ჩვენ ქართველ მაჰმადიანებს, ვისუნთქოთ საკუთარი ჰაერით. ამაში რაღაცას წარმოუდგენელს ხედავთ... თქვენი სიტყვით, ქართველმა მაჰმადიანებმა რომ ეროვნული ჰაერი ვისუნთქოთ, ეს იქნება ჩვენი დაღუპვის მომასწავებელი... თქვენ ბრძანებთ: **„თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებაო".** ვერ წარმოგვიდგენია, თქვენს ასეთს შეკითხვას რა პასუხი გავსცეთ!.. აბა, თქვენ გვიპასუხეთ ერთმორწმუნენო: **თუ თურქული სკოლები გავხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გათურქდება?..** დღეს ხომ ეროვნება მეორე ღმერთია და მას ხომ დიდი ადგილი აკუთვნა კაცობრიობამ? ეს ხომ აშკარად დაგვიმტკიცა დღევანდელმა უმაგალითო ომმა! ვერ გაგვიგია, ქართველ მაჰმადიანობას, თუ თქვენ, ჩვენ საკუთარ ჰაერის სუნთქვას წინ გადაეღობეთ!.. [illegible] ვცდებოდეთ და თქვენს წუხილს შეადგენს სარწმუნოების საკითხი და არა ჩვენი ქართველ მაჰმადიანების ეროვნულ ფერხულში ჩაბმა? თუ ეს მართლაც ასეა და გაწუხებთ ჩვენი სარწმუნოებრივი საჭიროება, ძლიერ კარგი და პატიოსანი, მივჰყოთ ხელი მის მოწესრიგებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ საკითხს პირდაპირ აღტაცებით მიეგებებიან ჩვენი ღვიძლი ძმები—ქართველი ქრისტიანები, რომლებიც ჩვენი სარწმუნოების არსებობას არა ნაკლებ იცავენ, ვიდრე თავისას. ამაში ქართველი მაჰმადიანები სულითა და გულით ვართ დარწმუნებულნი და ამ რწმენას ჩვენი გულიდან ვერავითარი ძალა ვერ აღმოფხვრის. არა ერთხელ და ორხელ თავდადებით და თავგანწირვით დაუცავს ქართველობას და ქართულ პრესას ჩვენი სარწმუნოება. ეს ალბად თქვენც გემახსოვრებათ, ჩვენო ერთმორწმუნენო, რადგანაც თქვენს პრესაში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული ჩვენი ძმების, ქართველ ქრისტიანების მოქმედება. მაგრამ ახლა რა მოგივიდათ, აღარ ვიცით, რომ ბრძანებთ: „თუ თურქული სკოლა არ გავხსენით, ვინ არის თავდები, რომ აჭარა არ გაქრისტიანდებაო". ბატონო ერთმორწმუნენო, მოგახსენებთ, რომ ეს ისეთი გულსაკლავი სიტყვაა, რომ შეგნებული ქართველი მაჰმადიანი მას ვერ დაივიწყებს.

ნუ შიშობთ, ჩვენ არ გავქრისტიანდებით. აგერ ორმოც წელზე მეტია, რაც ჩვენში სამისიონერო პუნქტი არსებობს, აბა ბრძანეთ: ვინ გაქრისტიანდა?!. ათ წელზე მეტია, რაც ჩვენს მხარეს სამინისტრო რუსული სკოლები მოეფინა. მერე გავქრისტიანდით?! თუ მისიონერმა და რუსულმა სკოლებმა ვერ გაგვაქრისტიანა, ნუ თუ ეროვნული სკოლები, რომლებიც კეთილ ინებეს და გაგვიხსნეს ჩვენმა ძმებმა, ჩვენ გაგვაქრისტიანებენ?. მერე რატომ? იმიტომ რომ, ეროვნულია ?! საკვირველია, ღმერთმანი ასეთი შეხედულება! ვინც ეროვნულ სკოლაში აღიზრდება, ის უსათუოდ გაქრისტიანდება?! მაშინ გვიბრძანეთ, თქვენ როგორ დარჩით მუსულმანებად და არ გავქრისტიანდით, თქვენ ხომ გაქვთ თქვენი ეროვნული სკოლები? ოთხას მილიონამდე მუსულმანია, ათასი სხვა და სხვა ეროვნებისა, ხომ ყველანი თავიანთ საკუთარ ეროვნულ სკოლებით იკვებებიან და რატომ არ გაქრისტიანდნენ?

მაგრამ არა, ბატონებო, ამაოა ეს კითხვები. ჩვენ, ქართველი მაჰმადიანები უცოდველესი ხალხი ვართ. ყველას ფეხქვეშ სათელი და სათრევი შევიქენით. სამასი წელია, რაც მოვსწყდით ჩვენს ეროვნულ სიტკბოებას და ლობე-ყორეს ვედებით. დღეს, როგორც იქნა, ჩვენს გულში იფეთქა დღემდის მიძინებულმა ეროვნულ გრძობის პატარა ნაპერწკალმა და ესწრაფვის მგზნებარე ცეცხლათ გადაქცევას და ამიტომ გთხოვთ ნუ გვიშლით ხელს. ჩვენც გვინდა გავერიოთ ხალხში, ჩვენც გვინდა და გვწყურია როგორც მთელს კაცობრიობას, ეროვნული სული და ვინც გადაელობება ამ ჩვენს, ქართველ მაჰმადიანთა წმინდათა-წმინდა გრძნობას, ჩვენი მეგობარი არ იქნება!.. რაც შეეხება სარწმუნოებას, უკანასკნელად მოგახსენებთ, რომ ჩვენ სარწმუნოება ტანთ-საცმელად არ მიგვაჩნია, რომ როდესაც გვინდა გავიხადოთ და როდესაც გვინდა ჩავიცვათ, ნუ შიშობთ, ჩვენო ერთმორწმუნენო, თუ კი დღემდის მოვიტანეთ, აწ არავინ ღა წაგვართმევს, მით უმეტეს, რომ სარწმუნოების გამოტაცების დრო უკვე წავიდა და ახლა მისთვის არავის სცალია.

**ჰაიდარ-ბეგ-აბაშიძე.**

ქ. ბათუმი, 25 იანვ 1917 წ.

# სიყალბე თუ სიმართლე

(პასუხად „კახეთის" საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა კომისიას).

პირდაპირ გასაკვირველი ნაბიჯი გადასდგა „კახეთის" საზოგადოების მუშა-მოსამსახურეთა კომისიამ (?), რომელმაც „სახალხო ფურცელში" დასტამბა ტენდენციური და განსაკუთრებით ყალბ ცნობებზედ აგებული პასუხი ჩემს წერილზედ. დაწვრილებით ამ წერილს შევეხებით მაშინ, როდესაც იგი დამთავრდება, მაგრამ ეხლავე შეუძლებლად მიგვაჩნია არ მივაქციოთ ყურადღება მკითხველისა წერილის იმ ადგილებზე, რომლებიც აშკარად ღალატობენ სიმართლეს. ეს წერილი და ცნობები რომ ვინმე კერძო პირისა ან ვინმე „ბუკის ციხელისა" ყოფილიყო, როგორც „თანამედროვე აზრში", შეიძლებოდა ადამიანს ეპატიებინა, მაგრამ ასეთს ცნობებს აყალბებს მთელი „კომისია, საცა შედის ბუღალტერი, მდივანი და სხ.

აი ის ზოგიერთი ადგილებ :

1) **გამგეობის წევრებს უფრო მგ-**

ტი მოემატათ *): 1914—15 წელს გამგეობის წევრებმა მიიღეს 5660 მან. და 1915—16 წელს 8850 მანეთი. მაშასადამე, მომატება უდრის 57 პროცენტსაო. ეს საბუღალტრო თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი. გამგეობის წევრები იღებდნენ ომამდე თვეში ოც თუმანს და თავმჯდომარე ოცდა ხუთს—ე. ი. წელიწადში 2400 და 3000 მანეთს. ომის განმავლობაში გაუხდათ წევრებს 250 მ. და თავმჯდომარეს—300 მ., ე. ი. მოემატათ წევრებს 25 პროცენტი და თავმჯდომარეს 20 მხოლოდ. თუ აქედან როგორ გამოიყვანა კომისიამ 57 პროცენტი, ამის შინაგანი სიცრუე აშკარა გახდება მკითხველისათვის, როცა გაიგებს, რომ 1914—15 წ. მარტო **ორი წევრი იყო გამგეობაში**, რადგან მესამე წევრი იყო **მოწვევით** და ფაქტიურად არც კრებებს ესწრებოდა, არც **ჯამაგირს** იღებდა. 1915—16 წელს კი იყო **სამი წევრი**, რომელთაც, რასაკვირველია, მეტი **ჯამაგირი** ექნებოდათ, მარტომ იმიტომ კი არა, რომ **მოემატათ წევრებს**, არამედ იმიტომ, რომ **მეტნი იყვნენ რიცხვით**. დაწვრილებით ამ თვალთმაქცობას შემდეგ დავუბრუნდებით.

2) არ ვიცი საიდან ამოიღეს ჩემი ვითომ „ცილის წამება“, რომ მუშა-მოსამსახურენი **„უქმეების წინ განგებ გაიფიცნენო“**. ეს მე არსად დამიწერია აქამდის, მაგრამ ეხლა აშკარა და დაურღვეველი ფაქტია, რომლის უარყოფა შეუძლებელია მომხდარ ამბის შემდეგ: გაუფრთხილებლად, ვადის დაუდებლად გაფიცვა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ, უფრო მეტი ზიანის მუქარით, აეძულებინათ გამგეობა დათმობისათვის (და ესეთი ზიანი მხოლოდ უქმეების წინ არის ხოლმე შესაძლებელი) და თუმცა გამგეობამ **დაუთმო** ამაშიაც, დასთანხმდა მუშების **ყველა მოთხოვნილებაზედ**, გაფიცვა მაინც მოხდა, და ამიტომ თამამად ვიმეორებ—გაფიცვის ეკონომიური საფუძველი აღარ არსებობდა და მისი მოხდენა—დანაშაული იყო, რომლის გამართლება სიცრუით და სიყალბით შეუძლებელია.

3) მოსამსახურეებს 1914—15 წ. ჰქონდათ 14210 მან. 35 კაპ. და 1915—16 წ. 19487 მან., 85 კაპ. მაშასადამე, მოემატათ მხოლოდ 37%-ო.

აქაც იგივე სიყალბეა, როგორც გამგეობის მომატების ანგარიშში, რადგან **შემადგენლობა** და რიცხვი მოსამსახურეებისა შეიცვალა. კაცების მაგიერ, რომელნიც დიდი ხნობით მსახურობდნენ და ომში წაიყვანეს, ჩადგნენ საქმეში ქალები, რომელნიც იყვნენ ამასთანავე **ახლებიც** და რომელთა ხელფასი ყოველთვის ნაკლებია ხოლმე. ნამდვილში კი, **ყველას, ვინც საზოგადოებაში მსახურობდა ომამდე და ეხლაც მსახურობს, მომატებული ჰქონდა ჯერ კიდევ 1916 წლის მკათათვიდან** 100 პროცენტამდე, როგორც აღნიშნული იყო ჩემს ცხრილებში (იხ. საქართველო № 8 და 9) და 1917 წლ. იანვრიდან **ერთი ორად** და სამად მეტი.

| სახელი და გვარი | ომამდე ჰქონდა | დაენიშნა იანვრიდან |
|---|---|---|
| ე. ავალიშვილს (ბუღალტერი) | 150 | 316.25 |
| ე. ერისთავს | 40 | 97 75 |
| ე. ყიფიანს (მეკასე) | 30 | 96 50 |
| ს. დადიანი (მდივანი-იურისკონ.) | 100 | 175.00 სასამართლ. გასამრჯელ. |

სხვა მსახურნი სულ **ახლები და ქალები** არიან. მაშ სიცრუეა თუ არა, როცა კომისია სწერს 37%-ის მეტი არ მიემატათო. მაგრამ იქვე მოჰყავთ ყალბი ცხრილიც:

| | ომამდე | იანვრიდან სწერია | იანვრიდან უნდა იყოს | იანვრიდან მოითხოვეს |
|---|---|---|---|---|
| ბუღალტერი | 150 | 315 | (316 25) | 337 |
| პირველი მოსამსახ. | 75 | 93 | (97.75) | 109 |
| მეორე „ | 40 | 73 | (96.50) | 80 |
| მესამე „ | 45 | 72 | (?) | 86 |
| მეოთხე „ | 30 | — | (?) | — |
| მეხუთე „ | 40 | — | (?) | — |
| ხაზინადარი | 85 | 93 | (96.50) | 109 |
| რუმინგტ. მოსამსახ. | — | 70 | | 85 |
| 8 ფუთის ღვინ. ფასი | 3 | 60 | (?) | 88 |

აქედან (?) გამოჰყავთ, რომ გამგეობა უმატებდა 45 პროცენტს და ისინი თხოულობდნენ 65 პროცენტს. ყოველი ხაზი ამ ცხრილისა ყალბია. აბზობენ, ცალკე პირების ჯამაგირების მომატებას კი არ ვანგარიშობთ, არამედ **მთელს ჯამსა და თანამდებობის მიხედვითაო**. ჯერ ერთი, აქედანაც იმ შეცდომაში შეჰყავთ მკითხველი საზოგადოება, ვითომ ჯამაგირები **ყველასი არ არის გაორკეცებული და გასამკეცებულიო**. მეორეც, რომ ყოველი ციფრი მეორე სვეტისა ყალბია, **თუნდაც თანამდებობით** ვიანგარიშოთ: ამის გარდა, ის ორი ხაზი, საცა მეოთხე (?) და მეხუთე (?) მოსამსახურენი არიან—შემდეგ აღარ არსებობს (?) და, რასაკვირველია, ესეც დასწევს ხელოვნურად %-ს. ასე რომ ვიაროთ, და შემდეგი მომატება გამოვტოვოთ ხოლმე **სურვილისამებრ**—შეიძლება არა მარტო შევამციროთ მომატება, არამედ დავაკლოთ კიდეც იმას, რაც ომამდე იყო.

გაბაშვილმა ანგარიშები გადარიაო, ამბობს „უსახელო“ კომისია და მკითხველმა თვითონ გასინჯოს: ვინა რევს ანგარიშებს, სპეციალისტი ბუღალტერი, თუ მე? გარდა ამისა, თვით **ბუღალტერს და მდივანს არავითარი შეცვლა თანამდებობისა ან გართულება საქმისა და პასუხისმგებლობა ან წარმატება არ მიუღიათ**, მაგრამ მაინც პირველს 150 მანეთის მაგიერ უნდა მიეღო 316 მ 25 კ. და მეორეს 100 მან. მაგიერ 175 მ. და სასამართლოს საქმეების გასამრჯელო, ე. ი. საშუალოდ, არა ნაკლებ 225 მან. და ვკითხავ „კომისიას“ და მკითხველს: ესეც თანამდებობის და პიროვნების არევაა, თუ სიცრუე მათის მხრით? დაუმატეთ ამას, რომ **თვიურ მუშების ერთი ორად და სამად ჯამაგირის გადიდების ცხრილი სულ არ არის მოყვანილი** კომისიის წერილში და თაღლითობა აშკარა შეიქმნება. ეს მოხდა იმიტომ, რომ თვიურ მუშებისათვის **თანამდებობათა შეცვლის** სიყალბეს ვეღარ გამოიყენებდნენ.

ამის გარდა, თუ ჯამაგირები მოსამსახურეებისა უნდა გაისინჯოს **თანამდებობის მიხედვით და არა პიროვნების** მიხედვით, მაშინ რაღად დასჭირდათ ისეთი სიყალბე და სიცრუე, ვითომ გამგეობის **წევრებს** მოემატათ 57%-იო? ეს მგონი, კარგად იცის „კომისიამ“, რომ ომამდე ჰქონდათ 200 და 250 მ. და გაუხდათ 250 და 300 მანეთი. თუ ეს ჰოტენტოტურ მასალის შედეგია: „როცა მე მოგატყუებ, კარგიაო, როცა შენ მომატყუებ, ცუდიაო“, როცა გამგეობაზედ ვლაპარაკობ, მაშინ **სხვა** მსჯელობა მაქვს და როცა მოსამსახურეებზედ, მაშინ კიდევ—სხვაო?—ასეთი სიმართლით გინდათ ლელო გაიტანოთ და სირცხვილი არ არის განა? კიდევ ბევრია ასეთი მარგალიტი ჰეშმარიტება კომისიის წერილში, მაგრამ ამაზედ შემდეგ.

დღეს კი წერილს გავათავებ შემდეგის შენიშვნით: არ მიკვირს ბ-ნ ს. დადიანისთანა ხალხისაგან ასეთი ყალბი და უტიფარი გამოსვლა, რადგან იგი **პარტიული თვალსაზრისით** სჯის ყველა საქმეს და ამიტომ არავითარ საშუალებას მოერიდება, მაგრამ მე მიკვირს ე. ავალიშვილისაგან, რომელიც მუდამ სამართლიანობასა და სიმართლეზედა სდებს თავსა. მიკვირს და მწყინს და თვით ეს წყენაც აკვირვებთ მოსამსახურეთ: რა არის საწყენი, რომ გამგეობა „გვებუტებაო“. საწყენია, როდესაც ინტელიგენტი (?) ადამიანები იქამდე ჰკარგავენ გონებას, რომ არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, თვით სიცრუესაც კი.

დანარჩენი შემდეგ.

**რ. გაბაშვილი.**

*) ხაზი კომისიისა.

# დაბა-სოფლები

**დ. ჭიათურა.** არა ერთხელ ყოფილა გაზეთის ფურცლებზედ აწერილი დაბა ჭიათურის მუშათა კლასის უმწეო მდგომარეობა; ბევრჯელ გაიბრძოლეს შეერთებულმა მუშებმა, თავისი მდგომარეობა ცოტად თუ ბევრად გაიუმჯობესეს და ფასი დაადვეს თავიანთს შრომას, მაგრამ ყოველთვის ყოველსავე ამას დროებითი ხასიათი ჰქონდა და არა სამუდამო, ამის მიზეზები უმთავრესად უნდა ვეძიოთ მათს უორგანიზაციობაში.

ომის ქარცეცხლმა ჩვენი გლეხობა ძლიერად შეაშფოთა. დაინგრა გლეხის არა ერთი და ორი კერია და, თუ ამ ქარცეცხლში არ მომწყვდევია, ან დაბა ჭიათურის სამრეწველოებს შეაფარა თავი, ანდა უაზროთ მიედინება თუ ერზერუმის და თუ ტრაპიზონისაკენ, ამ ადგილებიდან კი უკან ან სულ აღარ ბრუნდებიან და თუ ვინმე ბრუნდება, დაავადმყოფებულნი და ილაჯგაწყვეტილნი არიან. ვერც ამ გარემოებამ და ვერც იმან, რომ იგინი სასყიდლის მხრითაც მოტყუებულნი რჩებიან, ვერ შეაჩერა მათი დენა ნახსენებ ადგილებისაკენ. ყოველდღე ასობით ნახავთ ვაგონებში თავყაზოყოფილ მუშებს, „ნარიადით“ მიმავალთ. უნდა ითქვას, რომ დადგა დრო ხალხის შრომის ექსპლოატაციისა და არა ერთი და ორი სარგებლობს შემთხვევით.

ჭიათურის შავი ქვის წარმოებამაც ფართეთ გაუღო კარი საჭირო მუშებს. არც ისე იაფად უჯდებათ ამ საცოდავებს ეს თავის შეფარება საწარმოო ქარხნებში. მადა გაღვიძებულმა მექარხნეთა მოსამსახურეების გუნდმა შემთხვევით ძლიერად ისარგებლა, და შეუბრალებლად გასძვრა ტყავი ბეჩავ უვიც მუშებს.

არა ერთი და ორია მადა აშლილი პირი დ. ჭიათურაში და ვითომ მხსნელი მაშვრალთა და ტვირთ მძიმეთა. არა ათი და ასია ქარხანასა თუ მაღაროში მკვნესარი მუშა, რომელსაც ვერც კი გაუბედნია იმისი თქმა, თუ რავდენი გაიღო ადგილის საშოვნელად და სამუშევრად ქრთამი,—რომ შეეჩვენოდა საქმეს.

მართალია, სანოვაგის მხრით დ. ჭიათურაში მდგომარეობა ცოტად გამოუმჯობესდა, მაგრამ პირობები ისევ აუტანელია. პურის ფქვილი იმდენად უვარგისია, რომ ხალხი ვერ შეეგუა. მეტი წილი ამჯობინებს მჭადს, მაგრამ ფქვილი სიმინდისა იმდენად ძვირია, რომ თუ იშოვეთ, პირდაპირ საზღაპროა მისი ფასი: ფუთი ღირს 5—6 მანეთად. ადგილობრივის ადმინისტრაციის დახმარებით აქ შაქარი და პური ამ იანვრის განმავლობაში ნ. ბუაჩიძემ შემოიტანა; საჭირო რიცხვი სანოვაგისა კოოპერატივს დაუთმო და კერძო პირებიც არ დაუტოვებია მოუმადლიერებლად. მის მოტანილ სანოვაგით და შაქრით ისარგებლეს როგორც დ. საჩხერის კოოპერატიულმა საზოგადოებამ, ისე კერძოდ ქ. ქუთაისმაც და სოფლებმაც.

აუწერელია, თუ რა პირობებში ვიყავით მანამდის. და აი ამ აუტანელ მდგომარეობამ გამოიწვია ადგილობრივ ექსპერტიორთა კრება იანვრის პირველ რიცხვებში. ამ კრებაზე გადასწყდა, რომ თითოეულ მუშა-მოსამსახურეზედ გაიღონ თითო თუმანი, შეგროვილი თანხა შეაფარდონ ადგილობრივ კოოპერატივის „ჩვენი ოჯახის“ თანხას. და გამგეობას ამა საზოგადოებისას დააკისრონ სანოვაგით უზრუნველ ყოფა დაბა ჭიათურისა. დაახლოვებით თუთხმეტი იქნება სამრეწველო ქარხანა, რომელსაც ორასამდე მუშა-მოსამსახურე ეყოლება თითოეულს. მაშასადამე, შედგება არა ნაკლები 20000 მანეთისა. ფულიც შეგროვილია. მაგრამ ჯერ არ ვიცით, ვის დააკისრა კრებამ ასრულება დადგენილებისა. თუ ხსენებულს კოოპერატივს აქვს დაკისრებული ამ დადგენილების ასრულება, ვერ გაგვიგია, რატომ შეჩერდა კოოპერატივის გამგეობა მაშინ, როცა პურის ფქვილი ძალზედ უვარგისია, ერთი ვაგონი შაქარი უკანვე წაიღეს, ვითომდა საჭირო არ ყოფილიყოს და სიმინდის სასყიდლად იღლიაში ტომარა ამოჩრილს ქალს, დაბისაკენ მიმავალს არა ერთსა და ორს ნახავთ.

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ადგილობრივი მომართლე ბ. ციხოცკი ქ. ქუთაისში გადაჰყავთ. არ იციან, ვის გააწესებენ მის ადგილზედ.

გერმანელ ფირმების სალიკვიდაციო კომისია უკვე ჩამოვიდა. უკანასკნელი სხდომა 29 იანვარს ექმნება.

ამინდი ჯერ-ჯერობით კარგი დგას. თუმცა ასეთი ამინდი ავადმყოფობის გავრცელებას ხელს უწყობს, მაგრამ ხალხი საზოგადოდ კმაყოფილია, რადგან შინ პირუტყვის საზრდო არ აქვს. ავადმყოფობა კი—ყელჭირვება და ყვავილი—მთლად მოედო სოფლებს და ბევრი ეწირება მსხვერპლად.

**ლან ქან.**

—

**გორი.** ქართველ ქალთა „მანდილოსანმა“ იდღესასწაულა ტრადიციული დღე—ნინოობა. მოიწვია ქართველი საზოგადოება და გორის სობოროში გადაიხადა წირვა და პარაკლისი. სხვათა შორის, მან წაიყვანა ეკლესიაში თავისი უფასო სკოლის მოწაფეები. ყველანი ერთფრად იყვნენ შემოსილნი და ქუდებზე წარწერა ჰქონდათ: „მანდილოსანი“. მათმა გამოსვლამ ყურადღება მიიპყრო საზოგადოებისა და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა.

დიდი მადლობის ღირსია გამგეობა ამ ულარიბესი ბავშვების გულშემატკივრობისა და ზრუნვისათვის. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, ნორჩმა საზოგადოებამ ამ სიძვირეში 50 მოწაფე შემოსოს თავით-ფეხამდე.

ნინოობის დღესასწაული ბავშვების სახეზე უფრო ღრმად იყო ისწერილი გამო. სულ ტანისამოსზე იცქირებოდნენ. საღამოთი, „აკრებულთა დარბაზში გაიმართა საღამო ამ საზოგადოების საპატიო თავმჯდომარის კნეინა ანნა ალექსანდრეს ასულ ამილახორის დიასახლისობით. დაიდგა ცოცხალი სურათი წმ. ნინოს ცხოვრებიდან; წაკითხულ იქმნა საინტერესო რეფერატი ბარათაშვილზე—ოლღა სოლოღაშვილის მიერ; შემთხვევით დამსწრე ილ. ქურხულმა შეასრულა რამდენიმე ნომერი სკრიპკაზე, რითაც დაატკბო მსმენელები; წარმოდგენილი იყო „და-ძმა“, შემდეგ სიმღერები, დეკლამაცია, მესტვირული და ცეკვა დუდუკზე. შესანიშნავი მესტვირე იყო, შაქრო ჯავახიშვილი; იმანვე საუცხოოთ წაიკითხა შემლილის წერილები.

საღამოს აუარებელი ხალხი დაესწრო, ასე რომ უბილეთობის გამო მრავალი ხალხი გულდაწყვეტილი უკან გაბრუნდა. პატივცემულ დიასახლისისვე მეოხებით ამ დღეს ყულაბებით მოგროვდა ფული „მანდილოსნის“ სასარგებლოდ. დილიდანვე რჩეული, ლამაზი ქალები, მოედვნენ მთელ ქალაქს და შუადღემდე ორმოცი თუმნამდე შეაგროვეს. საუცხოო ამინდმაც ხელი შეუწყო: თოვდა —ბარდნიდა, სიმხიარულეს იწვევდა და უმალ თეთრ სამოსელში ახვევდა ყველაფერს. საღამომაც ორმოცი თუმანი შემოიტანა.

**მ. კ—ლი.**

# წერილი რედ. მიმართ

უმორჩილესადა ვსთხოვ პატივცემულ „საქართველოს“ რედაქტორს მოათავსოს ეს ჩემი საპასუხო წერილი. გაზეთის ამა წლის № 8-ში (11 იანვარს) მოთავსებულია ქრონიკაში: „კაპიტალისტ მანთაშოვის აგენტი ინჟ. ჯანოევი კავთისხევის და ახალქალაქის მიდამოებში ცდილობს შეიძინოს ნავთიანი და სხვა მადნეულობიანი ადგილები, აგენტსა და მეპატრონეებს შორის შუამავლობას ეწევიან მამასახლისი და მწერალი კორინთელიო“. საქმის მდგომარეობა ასე გახლდათ:

როგორც მოგეხსენებათ, სადგურ კავთისხევის მახლობლათ მანთაშევს შეძენილი აქვს უძრავი ქონება, სადაც ეს ოთხი წელიწადია მუშაობა სწარმოებს ცემენტის ქარხნის ასაგებათ. ხსენებულ ქარხნისათვის სჭირდებათ კირის და ცემენტის ქვა. ამ ორი თვის წინეთ სოფ. კავთისხევში გვეწვია ინჟ. ჯანოევი და მიმართა ჩვენის საზოგადოების სოფ. წინარეხის მცხოვრებ გლეხებს: მანთაშევისათვის იჯარით მოგვეცით რამოდენიმე წლობით საკირე კლდის ადგილი „კარტაულაო“. ეს ადგილი სახაზინოა და სოფ. წინარეხის სახაზინო გლეხების მფლობელობაშია. გლეხები დიდის სიამოვნებით დასთანხმდნენ და ვადა სთხოვეს—მოვიფიქრებთო. გლეხების დავალებით ჩაველი თბილისში, ვიკითხე პირობები თუ რამდენის წლით სურდათ აღება ხსენებულის კლდისა, რა საფასურს გაიღებდნენ და სხ. მანთაშევის „კანტორაში“ მითხრეს: წელიწადში იჯარას მოგცემთ 1500—2000 მანეთამდინ, გავიყვანთ სადგურ კავთისხევიდან სოფ. წინარეხამდის საუკეთესო გზას, გავანათებთ ელექტრონით გზას და სოფლელებს, ვინც მოისურვებენ, მივსცემთ ელექტრონის განათებას საფასურითო და სხვა. გახარებული გამოველ მანთაშოვის კანტორიდგან და გავემართე, შევაითხებოდი ჩვენის ქვეყნის ზოგიერთ გულის შემატკივართ, თუ რას მირჩევდნენ—და აქ კი სულ სხვა მოსაზრებანი მოვისმინე და ვარჩიე ელექტრონით განათებულ გზაზედ სიარულს ისევ ძველი გზით მოგზაურობა. ყოველივე გაგონილი და ჩემი შთაბეჭდილებანი გადავეცი გლეხებს. თუმცა ზოგში ვერ დავითანხმე და ზოგნი იძახოდნენ: „კაცო, ორასი თუმანი ფული წელიწადში ჩვენი სოფლისათვის კარგიაო და სხ.“ ეს იყო და ეს. მანთაშევი თავის გზით წავიდა და გლეხები კიდევ თავისით. არ მესმის, აქ სამარცხვინო და სათაკილო რა არის. ყურებში ხომ თითს არ დავიცავთ, როდესაც რასმე გვეკითხებიან— ნუ თუ არ უნდა მოვუსმინოთ და პასუხი არ გავცეთ. რაიცა შეეხება სამშობლო ქვეყნისათვის გულშემატკივრობას, მართალია, სოფლის მწერალი ვარ, მაგრამ ბევრს არ ჩამოურჩები.

**სოლომონ კრასილინი.**

# ანგარიში

**არტაანში 6 იანვარს გამართულ „პირველ ქართულ საღამოსი“, რომლის შემოსავლიდან 75 პროც. გადაიდო ქართ. საქ. საზ. ადგილობრივ განყოფილების სასარგებლოდ და 25 პროც. დონის პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტებისათვის.**

**შემოსავალი:** საღამოზე შესასვლელ ბილეთებიდან, პროგრამებიდან და პრემიებიდან—333 მ. 60 კ., კიოსკებიდან—609 მ. 20 კ., საღობლო გასაღებლებიდან—148 მ., პტი-შვო—20 მ., ბუფეტიდან—784 მ. 37 კ., შემოწირულება—31 მ. საერთო შემოსავალი 2028 მ. 35 კ.

**გასავალი:** საღამოს მოწყობაში (ხურსათის ყიდვა, რისთვისაც ორი კაცი საგანგებოთ გაგზავნილ იქმნა თბილისში და ქუთაისში; ბინის ქირა; სცენის მოწყობა; ბილეთების მარკები; „პატენტი“, სასყიდელი მზარეულს, მებუფეტეს, მოსამსახურეთ, მუსიკას; საღამოში მონაწილეთა გამასპინძლება და სხვ.)—1060 მ. 52 კ. საღამოს სუფთა შემოსავალი დარჩა—967 მ. 82 კ., რომლის 25 პროცენტი—240 მ. გადაეცა ინჟინერს ა. ქ. ჯაფარიძეს გასაგზავნად, დანიშნულებისამებრ, დონის პოლიტეხნიკუმის ქართველ სტუდენტებისათვის და დანარჩენი—727 მ. 82 კ. გადიდო ადგილობრივ ქ ს. ს. განყოფილების ქონებრივ მხარის გასაძლიერებლად.

ვსარგებლობთ შემთხვევით და უღრმეს მადლობას ვსწირავთ ყველა იმ პირთ, რომელთაც ქონებრივად, თუ პირადის დახმარებით ხელი შეგვიწყო საღამოს გამართვაში, სახელდობრ, ქ-ბთ: ზინკევიჩისას, ბარისევიჩისას, ვლასოვისას, გრიბანოვსკისას, კოროვინისას, ტერ-ოგანესოვისას, ჯივაცკის ასულს; ბ. ბ. გრიბანოვსკის, აკატოვს, კოლესნიკოვს, ნოვიკოოვს, შლეიხერს, მხატვარს აკპერბეგ ქიაზიმბეგოვს; დიდი შრომის გაწევისათვის მეუღლეთ ა. ა. და ა. ვ. ნასიბოვებს; ღვინით სავაჭრო ამხ. „საეროს“ მთავარ გამგეს, თ-დ ერისთავს, რომელმაც უსასყიდლოთ დაგვითმო 60 ბოთლი „საეროს“ კახური, № 3, ღვინო და ... ქალაქების ... ყუთში; ... ძმ. ძმებს ... ლაშვილებს, რომელთაც წამოღებულ საუზმის სასყიდელში დაგვითმეს 50 პროც. და ფულის შემომწირველთ: კომენდანტს ი. ვ. გრიგორიევს—20 მ., თ. ამილახვარს—10 მ., კ. ოდიშარიას—23 მ. და ქ. ი. ხარაიძეს ხუთ ბოთლ ძვირფასს ღვინისათვის.

საჭიროდვე ვრაცხთ მადლობით აღვნიშნოთ ის თანაგრძნობა, რაიც საღამოსადმი გამოიჩინეს აქ დროებით მყოფ აფიცრობამ და აგრეთვე ადგილობრივმა სომხის და მუსულმანთა საზოგადოებებმა.

ქართ. საქ. საზ. არტაანის განყ. გამგეობის თავმჯდომარე **გ. ნ. ხალაიძე**.
მდივანი **კ. ოდიშარია.**

რედაქტორ-გამომცემელი
**სანდრო შანშიაშვილი**



# ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მიმოსვლა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თბილისიდან გადის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | საღ. |
| ბორჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 3.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| გორისაკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | საღ. |
| თელავისაკენ | | № 4, | 8 „ 58 | „ დილ. |

**თფილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 3.38 | საღ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| გორიდან | სამგზ. | № 62, | 6.34 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | საღ. |
| თელავიდან | | № 3, | 6 24 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3***, | 8.10 | დილ. |

ერთად-ერთი სამხატვრო-სალიტერატურო—სათეატრო სურათებიანი კვირეული ჟურნალი

# თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

**№ 6 შინაარსი:**

1, **მეთაური**—სახალხო მუშაკის დღესასწაული,
2, **დამსწრე**—„ვისი და რის ბრალია?“,
3, **ივ. გომართელი**—ალ. ჭიჭინაძე,
4, **ივ. გომართელი**—ჩემი მოგონება,
5, **ჯაბაური**—ნ. გოცირიძე,
6, **ი. დაროშვილი**—ნობათი ნ. გოცირიძეს,
7, **ძიძაძე**—სადა ხარ, სადა?
8, **მიხ. ბოჭორიშვილი**—ვნების ბრჭყალებში, სურათები 5 მოქ. (პირველი მოქმედება),
9, **ლ. ძიძიგური**—წამების ასული,
10, **ჭაზირა**—შავი ზღვის ნაპირას,
11, **წვრილი ამბები, სურათები, განცხადებანი**

თითო ნომერი 15 კ. მიიღება 1917 წ. ხელის მოწერა. წლიურად ორი პრემიით 8 მ., ნახევარი წლით—4 მ. 50 კ., ხელის მოწერა შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, თბილისში, მადათოვის კუნძულზე, № 1. ფოსტით—Тифлисъ, Ред. „Театри да Цховреба“—Іос. Имедашвили.

შენიშვნა: ჟურნალი ყველა ხელისმომწერს უკლებლივ ეგზავნება. ვისაც № დააკლდეს, დაუყოვნებლივ აცნობოს რედაქციას. (1—514—1)

# ორშაურიან ფოსტის მარკად

მოთხოვნისათანავე **უფასოდ** გაეგზავნებათ აქაურ ავადმყოფთ ჟურნალი

**„სიმრთელის მოამბე“** (Вѣстникъ Здоровія“.)

ჟურნალში გარკვევით, დაწვრილებით და მეცნიერულად უხსნიან სხვა და სხვა სენით შეპყრობილთ მნიშვნელობას, წამლობას და შედეგს სხვა და სხვა სენისას, როგორც მაგალითად:

**სუსუნატისა, სიფილისისა,** (სხვა და სხვა ფორმებში) **ჭლექისა, სისხლნაკლებობისა, საერთოთ სქესობრივის უძლურებისა**

და სხ. ავადმყოფობისას.

ვისაც სურს დაბარება ან პირადად მიღება ამ ჟურნალისა, უნდა მიჰმართოს მხოლოდ: **თბილისში**, ლორის მელიქოვის ქ № 16, განყოფ. 6, სახელმწიფო ბანკის ახლო პარიზის საფარმაცევტო ლაბორატორიის თბილისის განყოფილებას (Тифлисское отдѣленіе Парижской фармацевтической Лабораторіи. Тифлисъ, Лорись-Меликовская ул. № 16, отд. 6. (Близъ Государственнаго банка).

(30—491—4)

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-ზვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მუშოჩნი**“ ხიზილალა. მივიღეთ საუკეთესო სალიანის **შამაიები** მუდმივ გვაქვს ცოცხალი თევზი. აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარგარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.